

განათლებული მწვრთნელები - პირველ რიგში, ბავშვთა ფეხბურთს

B1



ეს "მილანია"

B3



კიდმანი, როგორც არბუსი

B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 7 აპრილი, 2005 წელი. №78 (938)

ფასი 50 თეთრი

## სამართალი

### თბილისის N1 საპყრობილეში სატელეფონო თაღლითები გამოავლინეს



საქართველოში არაერთი ადამიანი გამხდარა სატელეფონო თაღლითების მსხვერპლი.
მათი ხელწერა ნაცნობია – მობილურ ან ქალაქის ტელეფონზე მიღებული ზარით გატყობინებენ, რომ თქვენმა ტელეფონის ნომერმა რომელიღაც გათამაშებაში გაიმარჯვა.

A4

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**

## ამინდი

| | 7/4 | 8/4 | 9/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 18 | 16 |
| ქუთაისი | 20 | 22 | 22 |
| ბათუმი | 19 | 22 | 22 |
| სოხუმი | 19 | 21 | 22 |
| ფოთი | 20 | 23 | 23 |
| თელავი | 19 | 17 | 15 |
| ზუგდიდი | 21 | 23 | 23 |
| გორი | 14 | 16 | 16 |
| ახმეტა | 19 | 18 | 16 |
| ჭიათურა | 16 | 17 | 19 |
| გაგრა | 18 | 19 | 21 |
| სამტრედია | 21 | 22 | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8325 |
| ევრო | 2.3606 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4469 |
| რუბლი | 0.0656 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | სპორტი | B3 |
| სამართალი | A4 | სხვადასხვა | B4 |


# "მუქთა ფულისმჭამელები"



*ასე გამოიყურებოდა სხდომათა დარბაზი გუშინ, დღის მეორე ნახევარში.*

ბიორბი ასანიშვილი

*"რა ტყუილად გაჭმევთ პურსა!" - სატელევიზიო ფილმ "ქვევრის" გმირი გოგია მაროს უმაქნისობაში ადანაშაულებდა. "რა ტყუილად გიხდით ფულსა!" - ზოგიერთ დეპუტატზე ზუსტად ასევე აღშფოთდება გადასახადების გადამხდელი, თუკი საპარლამენტო ცხოვრებას გულდასმით მიადევნებს თვალს.*

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრებს მიწიერი სამოთხის პირობები აქვთ შექმნილი: კანონი მათ არ ავალდებულებს, რომ რამე აკეთონ და ღირებული შექმნან. პარლამენტარს მხოლოდ ის მოეთხოვება, რომ დაახლოებით სამ დღეში ერთხელ, დილით, სულ რამდენიმე წუთით სამსახურში მიბრძანდეს, რეგისტრაცია გაიაროს და... სულ ეს არის. ანუ, ხალხის რჩეულმა დროდადრო უნდა დაადასტუროს, რომ ცოცხალია, ამქვეყნად არსებობს და ამისთვის, ყოველთვიური ჯამაგირის სახით, 1500 ლარს მიიღებს.

თუმცა, დეპუტატების ნაწილს მიაჩნია, რომ ტიტანურ შრომას ეწევა და საზოგადოება მათ "ღვაწლს" სათანადოდ არ აფასებს. ამ კატეგორიის პარლამენტარები წვრილმანად თვლიან იმას, რომ მათი გამოისობით, საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა ხშირად ფერხდება - კვორუმის არარსებობის გამო, პლენარული სხდომა ვერ იხსნება.

პარლამენტის ხელმძღვანელობამ მდგომარეობის გამოსწორება ჯერ შეგონებებითა და უდისციპლინო დეპუტატების "ნამუსზე შეგდებით" სცადა, მაგრამ როდესაც ამან შედეგი ვერ გამოიღო, "დრაკონულ" ზომებს მიმართა - სულ ცოტა ხნის წინათ პარლამენტის რეგლამენტში შევიდა ცვლილებები, რომელიც პლენარული და კომიტეტის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენისთვის ფინანსურ სანქციებს ითვალისწინებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ოპტიმიზმი
## ჟენევის მოლაპარაკებების წინ

სოფო ბუკია

*7-8 აპრილს ჟენევაში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს ორივე მხარე დიდი ოპტიმიზმით იწყებს. ქართული მხარე მთავარ განსახილველ საკითხად გალის რაიონში მცხოვრები დევნილების უსაფრთხოებას ასახელებს, აფხაზური მხარე კი - ეკონომიკურ საკითხებს. სერიოზული განხილვის თემა გახდება ბაგაფშ-სააკაშვილის შესაძლო შეხვედრაც.*

ქართულ მხარეს ჟენევაში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა და პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხებში ირაკლი ალასანია წარმოადგენენ. სოხუმის ინტერესებს აფხაზეთის ხელისუფლების სტაჟიანი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და აფხაზური პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბესლან ბუთბა დაიცავენ.

საქართველოში გაერო-ს სპეც-წარმომადგენლის ოფისში მიღებული ინფორმაციით, ქართულ-აფხაზური შეხვედრა სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან მარი გიენოს თავმჯდომარეობით გაიმართება. ჟენევის მოლაპარაკებებს გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების – რუსეთის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და საფრანგეთის მაღალი რანგის წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

**"ჩვენ აბსოლუტურად კონკრეტული ამოცანები გვაქვს. აფხაზურ მხარესაც კარგად ესმის, რომ დიალოგი აუცილებელია. დარწმუნებული ვარ, ჟენევის შეხვედრა პროდუქტიული იქნება. ვფიქრობ, ჩვენ ვიპოვით გამოსავალს,"**- განაცხადა გიორგი ხაინდრავამ ჟენევაში გამგზავრების წინ.

დევნილების დაბრუნება; გალის რაიონის მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხები; მთელი რიგი ეკონომიკური საკითხები, მათ შორის - ენერგეტიკული; სარკინიგზო მიმოსვლის შესაძლო აღდგენა – ეს ის საკითხებია, რაც, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, აფხაზურ მხარესთან ერთად განიხილება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „მემარჯვენეები" თავდაცვის მინისტრს უტევენ

*დაპირისპირება "ახალ მემარჯვენეებსა" და თავდაცვის მინისტრს შორის კულმინაციას აღწევს. გუშინ, "ახლების" საგანგებო პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა დავით გამყრელიძემ პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოს სამხედრო დიქტატურის საფრთხე ემუქრება და ეს საფრთხე თავდაცვის მინისტრისაგან მოდის. მეტიც - გუშინ გამყრელიძემ იმის გარკვევა მოითხოვა, რამდენად უკავშირდება ირაკლი ოქრუაშვილის სახელი ზურაბ ჟვანიას სიკვდილს.*

თამარ მჭედლიშვილი

**"ირაკლი ოქრუაშვილი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიული საქართველოს მომავლისთვის და რადიკალური ზომების მიღება დღესვეა საჭირო,"** - აცხადებს დავით გამყრელიძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ თავდაცვის მინისტრი არაჯანსაღი ფსიქიკის მქონე მანიაკია. "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი გამოეხმაურა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მედიასაშუალებებში გაკეთებულ განცხადებებს და "სიცრუე" უწოდა ოქრუაშვილის მტკიცებას, თითქოს იგი არც ერთ მინისტრთან და მაღალჩინოსანთან არ არის დაპირისპირებული.

გამყრელიძე აცხადებს, რომ ოქრუაშვილი დაპირისპირებული იყო ყველა იმ ადამიანთან, ვინც ზურაბ ჟვანიას გუნდში იყო. მისი თქმით, როცა ოქრუაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, მაშინ, ფაქტობრივად, გადაწყდა იმდროინდელი ფინანსთა მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის დაპატიმრების საკითხი, თუმცა **"მაშინ ნოღაიდელი ჟვანიამ გადაარჩინა."**

გამყრელიძის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილის მორიგი მსხვერპლი - გიორგი ბარამიძეც რეპრესიებისგან სწორედ ზურაბ ჟვანიამ იხსნა. ამან კი ზურაბ ჟვანიასთან ოქრუაშვილის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბა.

"მემარჯვენეთა" ლიდერი ფლობს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ზურაბ ჟვანია და ირაკლი ოქრუაშვილი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ენერგეტიკა, გზები და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა

### მთავრობის სხდომა

თამარ ხორბალაძე

*მთავრობის სხდომა გუშინ ჩვეულებრივზე ხანმოკლე და შედარებით მცირესაკითხებიანი გახლდათ - ხელისუფლებამ გუშინ სულ 14 საკითხზე იმსჯელა, ტრადიციულად - დახურულ კარს მიღმა. სხდომის შემდეგ მთავრობის წევრებმა საზოგადოებას გაუმჟღავნეს, რომ: ბუშის ვიზიტისთვის საქართველო საფუძვლიანად მოემზადება; პენსიები არ გაიზრდება, სამაგიეროდ, მოიმატებს მასწავლებელთა ხელფასები; ფალსიფიკაციასთან ბრძოლა ამ ხელისუფლებისთვისაც პრიორიტეტად ცხადდება; ლიცენზირების პროცესი ქვეყანაში გამარტივდება; მიწები კი აუცილებლად გაიყიდება...*

**ბუშის ვიზიტისთვის პრეზიდენტის ფონდიდან 80 ათასი ლარი გამოიყოფა**

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ინფორმაციით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით, 80 ათასი ლარის გამოყოფა იგეგმება. ამ ვიზიტის ორგანიზებისთვის, შესაძლოა, ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდეს. **"დავხარჯავთ იმდენს, რამდენიც აუცილებელი იქნება,"** - ამბობენ დღეს მთავრობაში.

გარდა ამისა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად 200 ათასი ლარი გამოიყოფა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სენაკში სამხედრო ბრიგადა განთავსდება

ვერიკო თევზაძე

საქართველოს პრეზიდენტმა და თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მოინახულეს სენაკში მიმდინარე სამხედრო კომპლექსის მშენებლობა. როგორც "24 საათს" თავდაცვის მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოში განუცხადეს, ამ ტერიტორიაზე მზადდება ინფრასტრუქტურა მომავალი სამხედრო ბრიგადისათვის - დაწყებული ყაზარმებით და სოციალური უზრუნველყოფის ბლოკებით დამთავრებული. მშენებლობა ახალი დაწყებულია, მისი დასრულების ვადებს, ჯერჯერობით, ვერ აკონკრეტებენ.

თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ინფორმაციით, აღნიშნული მშენებლობა 9 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება. მინისტრის განმარტებით, თანხები, რომელიც მშენებლობას მოხმარდება, გამჭვირვალე იქნება. კერძოდ, ოქრუაშვილი საზოგადოებას ჰპირდება, რომ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ თავდაცვის სამინისტრო ხარჯების თაობაზე სპეციალურ ანგარიშს მოამზადებს.

კონკრეტულად, რომელი ბრიგადისთვის მიმდინარეობს მშენებლობა? - "24 საათის" ამ შეკითხვაზე მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოში გვიპასუხეს, რომ ეს იქნება მსუბუქ ქვეითთა ბრიგადა ოთხი ბატალიონითა და ასეულებით, მაგრამ, კერძოდ, რომელ ბრიგადაზეა საუბარი, ამის დაკონკრეტება არ შეუძლიათ: **"შეიძლება, დღეს არსებული ოთხი ბრიგადიდან რომელიმე მათგანი გადაიგზავნოს სენაკში; შესაძლოა, იმ პერიოდისთვის (მშენებლობის დასრულების დროისთვის) ახალი ბრიგადა ჩამოყალიბდეს და მას დისლოკაციის ადგილად სენაკი მიუჩინონ,"** – განაცხადეს სამმართველოში და დასძინეს, რომ თავად სახელწოდებაც - "სენაკის ბრიგადა" - პირობითია.

## „მემარჯვენეები" თავდაცვის მინისტრს უტევენ

პირველი გვერდიდან

**"მე პატივს ვცემ უდანაშაულობის პრეზუმპციას, მაგრამ, თავის დროზე, პრემიერ-მინისტრისა და ოქრუაშვილის დაპირისპირება ჟვანიას გარდაცვალებით დასრულდა. ის, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო, ჯერჯერობით გარკვეული არ არის და არც რეალური არგუმენტები მოგვისმენია. დღეს უკვე საეჭვო გარემოებებზე ჟვანიას ოჯახიც საუბრობს. ვინ იქნება შემდეგი მსხვერპლი ოქრუაშვილთან დაპირისპირებაში - ნოღაიდელი, მერაბიშვილი თუ თავად პრეზიდენტი?"** - საგულისხმოა, რომ ეს კითხვა დავით გამყრელიძემ სწორედ ამ განცხადებების შემდეგ დასვა.

რაც შეეხება სხვა ბრალდებებს. გამყრელიძე აცხადებს: **"ოქრუაშვილმა ჩათვლა, რომ ჯარი მისი პირადი საკუთრებაა, ჯარისკაცები კი - მისი მონები... არმიის განვითარების ფონდში, რომელსაც ანგარიშები ბანკ "რესპუბლიკაში" აქვს, თანხებს ჯართისა და ნავთობის ექსპორტიორები და დაპატიმრებული ჩინოვნიკები რიცხავენ. ჩემი ინფორმაციით, შესყიდულია სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურა, ასევე - იარაღი, რომელიც ქვეყნის იმიჯისათვის სახიფათოა,"** - განაცხადა გამყრელიძემ.

## კონსერვატორები ნინო ბურჯანაძეს დაუპირისპირდნენ

კონსერვატორები პარლამენტის თავმჯდომარესა და პარლამენტის ბიუროს რეგლამენტის დარღვევაში ადანაშაულებენ. საუბარია ბიუროს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ანაბრების გაუფასურების თაობაზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით შეგროვილი ხელმოწერები დასამოწმებლად პარლამენტის საპროცედურო კომიტეტს გადაეცა.

დეპუტატ კობა დავითაშვილის განცხადებით, ხელმოწერების დამოწმება მხოლოდ საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის დროსაა აუცილებელი. ამ შემთხვევაში კი, ბიუროს საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი პირდაპირ პლენარული სხდომის დღის წესრიგში უნდა შეეტანა.

როგორც კობა დავითაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ გზით საპარლამენტო უმრავლესობა დროს იგებს და ხელმომწერ დეპუტატებზე ზემოქმედებს. არ არის გამორიცხული, რომ ანაბრების გაუფასურების თემის ლიად დატოვება მათ ინტერესებში შედიოდეს. დავითაშვილის ინფორმაციით, ორმა დეპუტატმა - ჰამლეტ მოვსესიანმა და გია ნუცუბიძემ საკუთარი ხელმოწერები გადახაზეს, სხვებზე კი ზეწოლა კვლავაც გრძელდება.

კონსერვატორების თქმით, მათ შესაძლოა, პარლამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი დასვან.

პარლამენტმა რამდენიმე ხნის წინათ შექმნა კომისია, რომელმაც ანაბრების გაუფასურების საკითხზე მოკვლევა ჩაატარა. აღნიშნული კომისია მაშინ დეპუტატ ვანო ჩხარტიშვილის მოთხოვნით შეიქმნა, მასალების შესახებ ინფორმაცია პარლამენტმა მოისმინა, თუმცა მაშინ კონსერვატორები პროტესტს გამოთქვამდნენ და აცხადებდნენ, რომ ამ საქმისათვის აუცილებელი იყო საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომლის მიერ მოძიებულ მასალებზეც ასევე აუცილებელი იქნებოდა სამართლებრივი რეაგირება. **მედიანიუსი**

## ამერიკის სენატმა ზურაბ ჟვანიას ხსოვნას პატივი კიდევ ერთხელ მიაგო

ამერიკის სენატის წარმომადგენლობითმა პალატამ უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ხსოვნას პატივი კიდევ ერთხელ მიაგო.

რეზოლუციაში, რომელსაც ხმა დეპუტატთა უმრავლესობამ მისცა, ნათქვამია, რომ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანება ზურაბ ჟვანიას გეგმების აღსრულება იქნება.

სენატის წარმომადგენლობითმა პალატამ გარდაცვლილი პრემიერის ოჯახს თანაგრძნობა კიდევ ერთხელ გამოუცხადა და ყოფილი პრემიერის პოლიტიკური კურსის გაგრძელებაში საქართველოს ხელისუფლებას მხარდაჭერა აღუთქვა. **მედიანიუსი**

## პუტინი სეპარატისტებთან მასლაათს არ ეშვება

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან სოჭში გამართული შეხვედრის შემდეგ, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში სოხუმში გუშინვე, გვიან სალამოს დაბრუნდა.

ბაგაფშის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვალერი არშბას ინფორმაციით, სოჭიდან დაბრუნებულმა ბაგაფშმა სეპარატისტული რეჟიმის ლიდერებს რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დეტალები გააცნო.

არშბას თქმით, ბაჩაროვ-რუჩეის სამთავრობო კომპლექსში გამართული მოლაპარაკებების შესახებ განცხადებებს ბაგაფში, სავარაუდოდ, დღეს, დღის ბოლომდე გააკეთებს.

ვალერი არშბამ "ინტერ-პრესთან" საუბრისას დაადასტურა ინფორმაცია სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის აფხაზეთში ვიზიტის შესახებ. არშბას ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტთან შესახვედრად სერგეი ბაგაფში და ედუარდ კოკოითი სოხუმიდან ერთად გაემგზავრნენ.

დაზუსტებული ინფორმაციით, კოკოითი აფხაზეთში 2 აპრილს ჩავიდა და თვითაღიარებულ რესპუბლიკას 3 დღის განმავლობაში სტუმრობდა. კოკოითმა ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსი, ახალი ათონის მღვიმე და ძველი გაგრა დაათვალიერა.

ვლადიმირ პუტინმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტებთან შეხვედრა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საქართველოს პრეზიდენტმა უარყო პუტინის წინადადება, მასთან ერთად ბაგაფშთან და კოკოითთან შეხვედრის თაობაზე. **ინტერ-პრესი**


**ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო"**
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

**ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ქალთა პროგრამა აცხადებს კონკურსს**

**სოფლად შემოსავლის მომტანი პროექტების მხარდაჭერა**

კონკურსში მონაწილეობა:
საქართველოს სოფლებში მცხოვრებ ახალგაზრდა ქალთა მიერ მობილიზებული საინიციატივო ჯგუფები, მათ შორის - ქალთა ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები.

კონსულტაციები:

7 აპრილიდან ყოველ ხუთშაბათს, 14.00 (თბილისი, ჭოველიძის 10; ტელ.: 25 0592; 25 0463 ფაქსი: 29 1052).
მობილური კავშირი: 899/567120 (პროგრამის კოორდინატორი); 899/538089 (კონკურსის კონსულტანტი).
ელ. ფოსტა: tabu@osgf.ge

პროექტების შემოტანის ბოლო ვადა: 20 მაისი.


# "მუქთა ფულისმჭამელები"

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ მაჭავარიანის თქმით, რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების აპრობაცია უკვე მოხდა. თუმცა, მისი შედეგი არცთუ სახარბიელოა: გუშინ, დილის 11 საათზე ჩატარებულმა რეგისტრაციამ აჩვენა, რომ 235 პარლამენტარიდან სხდომას მხოლოდ 104 ესწრებოდა. კოლეგების უპასუხისმგებლობით აღშფოთებულმა ვიცე-სპიკერმა გამცდენების მხილების პირობა დადო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეორე ცდაზე კვორუმი შედგა, თავისი დაპირება დაივიწყა.

შესვენების შემდეგ, დღის მეორე ნახევარში საკანონმდებლო ორგანოში საერთოდ სავალალო მდგომარეობა შეიქმნა: პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა და ტექნიკური მუშაკების რაოდენობა ბევრად აღემატებოდა სხდომაზე მყოფი დეპუტატების რიცხვს. დარბაზში შემოსულ ბესო ჯუღელს ისიც ეცა თვალში, რომ პრეზიდიუმში არავინ იყო.

**"სად არის ახლა ვახტანგ რჩეულიშვილი!"** - სპიკერატში ცარიელი სავარძლების დანახვისას, ფრაქცია "მაჟორიტარების" თავმჯდომარემ სოციალისტური პარტიის ლიდერი "ინატრა" (შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ვახტანგ რჩეულიშვილი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რათა პრეზიდიუმში მოკალათებულიყო).

**"რატომ აგვიანებთ სხდომის დაწყებას?"** - მოგვიანებით მაჭავარიანს საყვედური აკადრა მუშაობას მოწყურებულმა ჯუღელმა.

**"ბატონ ბესოს შენიშვნას ვღებულობ,"** - "დანაშაული აღიარა" ვიცე-სპიკერმა...

ერთი სიტყვით, რეგლამენტში შეტანილმა ცვლილებებმა სიტუაცია უკეთესობისკენ ვერ შეცვალა. თუ რატომ, საკამათოა: შესაძლოა, გამცდენ დეპუტატებს ჯარიმის გადახდა არაფრად ულირთ; ან შეიძლება ჰგონიათ, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობა მათ, უბრალოდ, აშინებს და საჯარიმო სანქციების გატარებას ვერ გაბედავს...

**P.S** პარლამენტში საკმაოდ არიან პროფესიონალი, კომპეტენტური და დისციპლინირებული დეპუტატები, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, ამინდს ვერ ქმნიან - გარე-გარე მოსიარულეებთან მათი პროპორცია (დაახლოებით) დილის 11 საათზე ჩატარებული რეგისტრაციების შედეგებს შეესაბამება.

# ოპტიმიზმი ჟენევის მოლაპარაკებების წინ

პირველი გვერდიდან

ამ შეხვედრიდან ბევრს ელოდება ირაკლი ალასანიაც. **"დღევანდელი რეალიები ჩვენს საკეთილდღეოდ მუშაობს. დღეს არ არის არც არძინბა და არც შევარდნაძე, ის ადამიანები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამ კონფლიქტთან. დადგა დრო, როცა ქართველები და აფხაზები უნდა მიხვდნენ, რომ ეს კონფლიქტი მათი გადასაწყვეტი და მოსაგვარებელია. ვფიქრობ, ჩვენც და აფხაზებიც მზად ვართ, კონფლიქტს სწორედ ასეთი კუთხით შევხედოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ ჟენევის შემდეგ ჩვენს ურთიერთობებში ბევრი რამ შეიცვლება. მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი,"** – განაცხადა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. მისი თქმით, ჟენევაში მხარეები აუცილებლად ისაუბრებენ სერგეი ბაგაფშისა და მიხეილ სააკაშვილის შესაძლო შეხვედრაზეც. **"ჩვენ დავიწყებთ კონკრეტულ კონსულტაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით,"** – აღნიშნა მან.

სერგეი შამბა ჟენევაში გამგზავრების წინ საქართველოს ახალი ხელისუფლების "ახლებურ ხედვაზე" საუბრობს. **"დღემდე ქართულ პოლიტიკაში პრობლემის ძალისმიერი გზით მოგვარების იდეა იყო პოპულარული. თუ დღევანდელი ხელისუფლება ამგვარ პოლიტიკაზე უარს იტყვის, ჩვენ მზად ვართ, საქართველოს ვესაუბროთ. აქვე უნდა ვთქვა, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ საკითხისადმი ახლებური მიდგომა გამოიჩინა, ამიტომ ჩვენც დავთანხმდით ჟენევაში მათთან დიალოგს,"** – აღნიშნა შამბამ რუსულ საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში. ჟენევის შეხვედრასთან დაკავშირებით, საკუთარ პოზიციას გამოხატავს რუსეთის საგარეო უწყებაც. **"შეხვედრის მთავარი მიზანია მხარეებს შორის ნდობის აღდგენა. დღის წესრიგში მნიშვნელოვანი საკითხებია შეტანილი და რუსეთი მზადაა, გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელს მხარეთა დაახლოებაში დაეხმაროს,"** – განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების სპეცწარმომადგენელმა იაკოვლენკომ.

# საკრებულოს ოპოზიცია ახალ ბიუჯეტს მოითხოვს

*თბილისის ბიუჯეტში ცვლილება-დამატებების შეტანას საკრებულოს სხდომაზე ყოველთვის დიდი ხმაური მოჰყვება. გუშინდელი სხდომაც განათლება-კულტურის სფეროში ახალი პროექტების დაფინანსების მოთხოვნამ გამოაცოცხლა. ოპოზიციის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყვეტილება მიღებულია.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებიდან ოპოზიციის განსაკუთრებული პროტესტი რამდენიმე ახალი პროექტის დაფინანსების მოთხოვნამ გამოიწვია. ქალაქის მთავრობამ მუნიციპალური ორკესტრის, "ბიგ ბენდისთვის" აპარატურის ჩამოსატანად ბიუჯეტიდან 160 ათასი ლარის გამოყოფა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა "პატრიოტის" (მოხალისე ახალგაზრდობისთვის სამხედრო ბანაკების მოწყობა) 500 ათასი ლარით დაფინანსება მოითხოვა. **"რატომ უნდა აფინანსოს თბილისის ბიუჯეტმა ისეთი პროექტი, სადაც ერთი თბილისელი ახალგაზრდაც კი არ იღებს მონაწილეობას?"** – გააპროტესტეს "მემარჯვენეებმა", მაგრამ უმრავლესობამ ბიუჯეტში აღნიშნული ცვლილებების შეტანა მაინც მოახერხა.

ასევე უმრავლესობით მიიღეს დანარჩენი ცვლილებები, რაც განათლებისა და კულტურის ობიექტების კაპიტალური ხარჯებისთვის გათვალისწინებული თანხების ურბანიზაციისა და განათლება-კულტურის სამსახურებს შორის გადანაწილებას ეხებოდა. **"თუკი ისეთი ცუდი ბიუჯეტი გვაქვს, რომ მუდმივი ცვლილება სჭირდება, მთავრობას ახალი ბიუჯეტი მოვთხოვოთ,"** – ამაოდ ცხარობდა ოპოზიცია.

სამაგიეროდ, ოპოზიციის წინააღმდეგობამ გაჭრა და ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცება მომავალი სხდომისთვის გადაიდო. სხდომაზე გამოტანილი პროექტის მიხედვით, საკუთარი კორპუსის დაზიანებული სახურავისა და ლიფტის შესაკეთებლად მოსახლეობამაც უნდა შეიტანოს წვლილი – სახურავის შეკეთებისთვის – ჩასატარებელი სამუშაოს საერთო ღირებულების 15 პროცენტი, ხოლო ლიფტის შესაკეთებლად – 25 პროცენტი. **"მოსახლეობის წილი, საშუალოდ, 30 ლარი გამოვა, ამდენის გადახდის საშუალება კი ხალხს არ აქვს,"** – აყვირდნენ "ლეიბორისტები". უმრავლესობა იძულებული გახდა, ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცება გადაედო.

1989 წლის 9 აპრილს 236 დაზარალებულისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების საკითხი კი უმრავლესობა-ოპოზიციამ ერთხმად გადაწყვიტა. თითოეული მათგანი 100-100 ლარს მიიღებს. გამონაკლისს მხოლოდ პირველი ჯგუფის ინვალიდი დავით ფაილოძე წარმოადგენს, მას 1000 ლარს მისცემენ.

# გაფრთხილება სკოლების დირექტორებს

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის საკრებულო სკოლების ხელმძღვანელობას მოსწავლეთა სხვადასხვა რელიგიური სექტებისგან დაცვისკენ მოუწოდებს. ასეთი გაფრთხილების მიზეზი ჰუმანიტარული ორგანიზაცია "ადრას" (მეშვიდე აღმსარებლობის ადვენტისტთა დახმარება-განვითარების სააგენტო) მიერ სკოლებში მოწყობილი თამბაქოს საწინააღმდეგო აქციები აღმოჩნდა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა განათლება-კულტურის ქვეკომისიის გუშინდელ სხდომაზე სკოლების დირექტორები და პედაგოგები საგანგებოდ მიიწვიეს. საკრებულომ პრესის საშუალებით შეიტყო, რომ ჰუმანიტარული ორგანიზაცია "ადრა" სკოლებში თამბაქოს საწინააღმდეგო აქციებს აწყობს. საკრებულო შიშობს, რომ სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელთა ორგანიზაციის მიერ წამოწყებული თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანიის უკან ადვენტიზმის პროპაგანდა იმალება. **"განათლების შესახებ კანონით, სკოლებში ნებისმიერი რელიგიის პროპაგანდა იკრძალება. ერთად გადავწყვიტოთ, სკოლები ასეთი ფაქტებისგან როგორ დავიცვათ,"** – განაცხადა განათლებისა და კულტურის ქვეკომისიის თავმჯდომარემ გია მურღულიამ.

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა გელა კობეშავიძემ "ადრას" საქმიანობა უფრო დააკონკრეტა: **"ეს ორგანიზაცია 2002 წლიდან ცდილობს ჩვენს სკოლებში შესვლას. თავიდან, თამბაქოს საწინააღმდეგო აქციებით იწყებენ, შემდეგ ნიჭიერ მოსწავლეებს შეარჩევენ, ბანაკებში მიჰყავთ და საკუთარი აღმსარებლობის შესახებ ლექციებს უკითხავენ."**

საინტერესო ის იყო, რომ ვერც საკრებულოს წევრებსა და ვერც მიწვეულ სტუმრებს შორის ვერავინ დაასახელა სკოლები, სადაც მსგავსი აქციები ჩატარდა. მხოლოდ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ ნანული ქაჩიბაიამ იცოდა, ისიც მიახლოებით, რომ ხილიანზე მდებარე რომელიღაც სკოლაში "ადრამ" მოსწავლეებს ჰუმანიტარული ტანსაცმელი დაურიგა. სხდომაზე მიწვეულმა სკოლის დირექტორებმა "ადრასთან" რაიმე კონტაქტი ერთხმად უარყვეს.

სხდომის ბოლოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ბექა მინდიაშვილმა საკრებულოს წევრებს საკითხის უკეთ შესწავლა და "ადრას" წარმომადგენელთა პოზიციის მოსმენა ურჩია.

# ზოგადი უნარების ტესტების ნამდვილი კრებული ორი ლარი ეღირება

*თურმე, ავტობუსში ფეხმძიმე ქალს ადგილი არ უნდა დაუთმო, რადგან ამ ადგილისთვის შენ გადახდილი გაქვს. ქუჩაში დავარდნილ ადამიანს რომ ნახავ, თუ სამსახურში გეჩქარება, არ უნდა გაჩერდე, რადგან დრო ფულია და სამსახურში დროულად გამოცხადება კანონია... ამას და კიდევ ბევრ ახალს "ასწავლიან" ათასი ჯურის შარლატანების მიერ გამოცემული უნარ-ჩვევების "კრებულები" წლევანდელ და მომავალ აბიტურიენტებს. პარალელურად კი ჩნდება უფრო მნიშვნელოვანი უარყოფითი რამ - უნდობლობა ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმართ.*

დალი კუპრავა

გუშინ განათლების სამინისტროში ზოგადი უნარების ტესტურ დავალებათა ახალი კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, რომ მომავალი კვირიდან აღნიშნული კრებული სავაჭრო ქსელში გაიყიდება და მისი ფასია ორი ლარი. სწორედ ამ კრებულით შეეძლება ყველა აბიტურიენტს მოემზადოს 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

მართალია, რაც ცნება "უნარ-ჩვევები" გაჩნდა, მას შემდეგ ათასგვარი სარეპეტიტორო ფირმის გამოცემული "კრებულები" არ მოკლებიათ აბიტურიენტებს, მაგრამ მაია მიმინოშვილის განცხადებით, სამინისტრო პასუხს აგებს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ იმ კრებულებზე, რომელთაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლოგოები აქვს. ასეთი კი დღემდე ზოგადი უნარების ერთი კრებული იყო და დღეიდან კიდევ ერთი იქნება.

რაც შეეხება "სხვაგვარი" უნარების ტესტებს, მისი შედგენის და გამოცემის უფლებას კანონი ვერავის აუკრძალავს, ასევე - შეძენასაც, მაგრამ აბიტურიენტმა არ უნდა იფიქროს, რომ სახელმწიფო მის განათლებაზე თხუთმეტლარიანი კრებულებით ზრუნავს.

**P.S.** შეკითხვებზე პასუხი რომ მიიღოთ, დარეკეთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზზე: 94 33 11.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისს სამუშაო ვიზიტით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ეწვია, რომელსაც საგარეო პოლიტიკური უწყების საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი ხელმძღვანელობს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის დროს განიხილება ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების დარეგულირების საკითხები. რუსეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი მალხაზ მიქელაძე წარმართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 9 აპრილს თბილისს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტანას ვანიოლისი ეწვევა. დაგეგმილია ვანიოლისის შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ინფორმაციით, ვიზიტის დროს განიხილება საქართველოსა და ლიტვას შორის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის პერსპექტივები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის დეტალების შესათანხმებლად, 10 აპრილს საქართველოს ამერიკელ ექსპერტთა მუშა ჯგუფი ეწვევა.

რამდენ ხანს დაჰყოფს ამერიკის პრეზიდენტი საქართველოში, ჯერჯერობით უცნობია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზი სამართალდამცველები დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმის ორგანიზებაში ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერ ტუნა ხიბას დაჯგუფებას ადანაშაულებენ.

სოხუმის სამართალდამცავ ორგანოებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ანქვაბზე თავდასხმის საქმეზე მომუშავე უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი ჯგუფის წევრები ტერაქტში გავლენიანი აფხაზი ბიზნესმენის ტუნა ხიბას დაჯგუფების მონაწილეობას სერიოზულად განიხილავენ.

იმავე წყაროს ცნობით, სამართალდამცველები თავდასხმაში ხიბას დაჯგუფების მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის გაჟონვას დაჯგუფების სიძლიერის გამო ერიდებიან. თუმცა, საგამოძიებო ჯგუფის წევრთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ ანქვაბის ლიკვიდაციის მიზნით, თავდასხმა სწორედ აღნიშნულმა დაჯგუფებამ განახორციელა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმა ორჯერ, 28 თებერვალსა და 1 აპრილს, ერთსა და იმავე ადგილას, სოხუმთან ახლოს, სოფელ აჩადარაში განხორციელდა.

დაზუსტებული ინფორმაციით, ბიზნესმენმა ტუნა ხიბამ და ვლადისლავ არძინბას ბიძაშვილმა პაშა არძინბამ აფხაზეთში 2004 წლის შემოდგომაზე ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში რაულ ხაჯიმბას საარჩევნო კამპანია დააფინანსეს.

ტუნა ხიბა და პაშა არძინბა აფხაზეთში ბენზინისა და სიგარეტის კონტრაბანდას, ხე-ტყისა და ნარკობიზნესს აკონტროლებენ. მათ დასაკავებლად აფხაზ სამართალდამცველებს საკმარისზე მეტი მტკიცებულებები აქვთ. თუმცა, იმის გამო, რომ არძინბა-ხიბას დაჯგუფებას აფხაზეთში დღესაც დიდი გავლენა აქვს, ახალი ხელისუფლება მათ წინააღმდეგ ღია ბრძოლას, ჯერჯერობით, ერიდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში უახლოეს დღეებში თურქეთის რესპუბლიკიდან, ბარტერული გაცვლით, ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყება.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის თქმით, ზამთრის პერიოდში თურქეთის რესპუბლიკიდან აჭარის ენერგოკომპანია 60-70 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს, რის სანაცვლოდაც, საქართველო 1 კვტ ელექტროენერგიაზე 1.2 კვტ ელექტროენერგიას თურქეთის რესპუბლიკას ზაფხულის პერიოდში მიაწვდის.

მინისტრის განცხადებით, ფულადი გაანგარიშებით თურქეთიდან მიღებული ელექტროენერგია საქართველოს 3.3 თეთრი დაუჯდება, რაც ძალიან იაფია, რადგან რუსეთიდან იმპორტი 1.6 ცენტი, ხოლო სომხეთიდან - 2.7 ცენტი ღირს.

ელექტროენერგიის იმპორტი ორი კვირის განმავლობაში განხორციელდება, 2006 წელს კი - მთელი ზამთრის განმავლობაში. იმპორტი უახლოეს დღეებში დაიწყება. **24 საათი**

■ ■ ■

**ფოთი.** ფოთის შესასვლელში გუშინ სატვირთო ავტომანქანების მძღოლების საპროტესტო აქცია გაიმართა. ისინი გადამზიდავი კომპანიებისგან ტარიფის მომატებას ითხოვდნენ.

მძღოლებს გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლები შეხვდნენ და განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საწვავის ფასი ისევ მოიმატებს, მძღოლები კომპენსაციებს მიიღებენ. რაც შეეხება ტარიფის მომატებას, გადამზიდავები ამის პირობას ვერ დებენ.

მძღოლები აცხადებენ, რომ ისინი გადამზიდავ კომპანიებს ერთი წლის წინ განსაზღვრული ტარიფით ემსახურებიან, როცა დიზელის საწვავის ღირებულება ერთ ლიტრზე 60 თეთრს შეადგენდა.

ფოთში 50-მდე ავტომანქანის მძღოლია გაფიცული, რომელთაც ტვირთები აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით გადააქვთ.

მძღოლებმა და გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლებმა შეთანხმებას, ჯერჯერობით, ვერ მიაღწიეს. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ენერგეტიკა, გზები და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა

პირველი გვერდიდან

მთავრობის სხდომამ გუშინ, 3 ივნისისთვის დაგეგმილი დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტის გასამართად, საქართველოს პრეზიდენტისა და სხვადასხვა უწყებების სარეზერვო ფონდებიდან 350 ათასი ლარის გამოყოფის საკითხზეც იმსჯელა.

### პენსიებზე და ხელფასებზე...

**"მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობა საზოგადოების დაკვეთის შესრულებას, კერძოდ კი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და დასაქმების პრობლემის მოგვარებას გეგმავს,"** - განაცხადა გუშინ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და 2005 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე ისაუბრა. ნოღაიდელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ბიუჯეტში ცვლილებები შედის და 2005 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 452 მილიონი ლარით იზრდება.

**"ის პრეტენზიები, რაც გუშინ იყო, რომ ამ თანხიდან მოხდეს პენსიების გაზრდა, ეს არ მოხდება. ჩვენ წელს საზოგადოების დაკვეთას შევასრულებთ და ყურადღებას სხვა პრობლემებზე გავამახვილებთ,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისი თქმით, საზოგადოების პირველი მოთხოვნა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების პრობლემის მოგვარებაა, ამისთვის კი მთავარი - ელექტრომომარაგება და გზების რეაბილიტაციაა.

როგორც პრემიერმა განაცხადა, 452 მილიონი ლარიდან უდიდესი ნაწილი მიმართული იქნება სწორედ გზების რეაბილიტაციასა და ელექტრომომარაგებაზე. გარდა ამისა, გრძელდება განათლების რეფორმა და შემოდგომაზე მნიშვნელოვნად იზრდება განათლების დაფინანსება. ამასთანავე, შემოდგომიდან მასწავლებელთა მინიმალური ხელფასი 115 ლარზე მეტი იქნება.

### ხელისუფლება "ერთი ფანჯრის პრინციპს" ამკვიდრებს

საქართველოს მთავრობა "სამეწარმეო საქმიანობაში ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის შესახებ" ახალ კანონპროექტზე მუშაობს, რომელიც საქმიანობის დაწყებისთვის ლიცენზიების გაცემის პროცედურების გამარტივებას, ზოგ შემთხვევაში კი, გაუქმებას ითვალისწინებს. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებით, ახალი კანონპროექტის მიხედვით, ძირითადად, ლიცენზიების აღება სავალდებულო იქნება მესამე პირისთვის საშიშ საქმიანობაზე, წიაღისეულით, სიხშირეებით, რესურსებით სარგებლობისთვის.

**"ჩვენ გვინდა შემოვიღოთ "ერთი ფანჯრის" პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისთვის ბიზნესმენს ლიცენზიის მისაღებად ერთი სამინისტროდან მეორეში თვეობით სირბილი აღარ დასჭირდეს,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, თუ მეწარმემ ლიცენზიის ასაღებად შეტანილი განცხადებიდან 1 თვის განმავლობაში პასუხი ვერ მიიღო, საქმიანობის დაწყების უფლება ავტომატურად მიეცემა. ბენდუქიძის განცხადებით, აღნიშნული კანონპროექტი კიდევ დაიხვეწება და პარლამენტს აპრილის ბოლოს წარედგინება.

### მთავრობა ღვინის ფალსიფიკაციაზე ალაპარაკდა

**"საქართველოს მთავრობა მეღვინეობის დარგს პრიორიტეტულად აცხადებს და ფალსიფიკაციასთან ბრძოლას იწყებს,"** - ასეთი "ხმამაღალი", თუმცა, ალბათ, არცთუ განსაკუთრებული სიახლის შემცველი განცხადება მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გააკეთა.

მისი თქმით, მეღვინეობას საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი უკავია და მთავრობამ ამ სფეროში წესრიგის დასამყარებლად ქმედითი ზომები უნდა მიიღოს.

როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, ძირითადი პრობლემა ფალსიფიკაციაა. მისი თქმით, საქართველოდან ექსპორტირებული "ხვანჭკარის" მოცულობა ხუთჯერ უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში მისი მოწევა არის შესაძლებელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის განცხადებით, მთავრობა ორი კვირის განმავლობაში აქტიურ ბრძოლას დაიწყებს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ და დიდ ყურადღებას მიაქცევს საზღვარგარეთ ქართული ბრენდის ჩამოსხმის საკითხსაც.

როგორც სვიმონიშვილი აცხადებს, საზღვარგარეთ ყოველწლიურად 150 მილიონი ბოთლი ღვინო ქართული ბრენდის სახელწოდებით გამოდის და ეს ყველაფერი უკანონოდ ხდება. საქართველოს მთავრობა მაისის დასაწყისში მეღვინეებთან შეხვედრის გამართვას გეგმავს.

### ბენდუქიძე ოპოზიციის აზრს ამჯერადაც არ იზიარებს

სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე მხარს უჭერს იჯარით გაცემული მიწების საკუთრებაში გადაცემას და მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად და ამ დარგში უცხოური კაპიტალის მოსაზიდად იჯარით გაცემული მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა აუცილებელია.

მისივე აზრით, პრობლემა არ შეიქმნება, თუკი სასაზღვრო ზოლში არსებული ე.წ. "არავის მიწები", რომელიც ამჟამად უფუნქციოდ არის დარჩენილი, კერძო მფლობელს გადაეცემა.

**"სასოფლო-სამეურნეო მიწების 12 პროცენტი ასეთ სასაზღვრო ზოლშია მოხვედრილი და ჩვენს ქვეყანას მიწის იმდენი რესურსი არ აქვს, რომ ამდენი მიწა უქმად გააცდინოს,"** - განაცხადა კახა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, ოპოზიციის მოსაზრება, რომ გაყიდული მიწების უმრავლესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეების ხელში მოხვდება, "სისულელეა", რადგან აღნიშნული კანონი ითვალისწინებს იჯარის დაფარვას 9-წლიანი განვადებით და საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, ეს მიწები თავისუფლად შეიძინონ.

ცნობისთვის: იმ მოქალაქეებს, რომელთაც მიწები იჯარით აქვთ აღებული, ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ შეეძლებათ, თანხა 9 წლის მანძილზე დაფარონ. სახელმწიფო ბიუჯეტი მიწების გაყიდვიდან 9 წლის მანძილზე 40 მილიონ ლარს მიიღებს.

უცხოეთი

# ქურთთა გამათავისუფლებელი მოძრაობიდან - ერაყის პრეზიდენტობამდე

## პოსტსადამისეულ ქვეყანას ქურთი პრეზიდენტი ეყოლება

*ერაყის ახალმა პარლამენტმა "ისტორიული" არჩევნებიდან ცხრაკვირიანი დებატების შემდეგ, როგორც იქნა, ნავსი გატეხა. გუშინ ქვეყნის პრეზიდენტად "ქურთისტანის პატრიოტული კავშირის" ლიდერი ჯალალ თალაბანი აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტებად კი - სუნიტი ღაზი ალიავარი და შიიტი ადელ აბდულ მაჰდი დაამტკიცეს. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები საპრეზიდენტო საბჭოს ქმნიან, რომელმაც ახალი პრემიერ-მინისტრი უნდა დანიშნოს.*

პირველი "დემოკრატიული" არჩევნების გზით ერაყის სათავეში მოსული ახალი პარლამენტი, დღემდე, აშშ-ს ხელმძღვანელობით წარმოებული სამხედრო კამპანიის ერთადერთი შედეგია. თუმცა, თეთრი სახლის მიერ ახლო აღმოსავლეთის "დემოკრატიზაციის" სიმბოლოდ შერაცხული საკანონმდებლო ორგანო, არჩევიდან მრავალი კვირის მანძილზე, პრაქტიკულად, ვერ მუშაობდა.

ახლად არჩეული ორგანო, მართალია, უკვე რამდენჯერმე შეიკრიბა, მაგრამ ერთადერთი, რაც გუშინდელ დღემდე მოახერხა, სპიკერის არჩევა იყო. გაცილებით საინტერესო პროცესები მიმდინარეობდა პარლამენტის სხდომათა დარბაზის გარეთ, კულუარული შეხვედრებისას. საქმე ისაა, რომ არჩევნებში მეორე ადგილზე გასული ქურთები, ლოიალობის სანაცვლოდ, გამარჯვებულ შიიტთა აზრით, მისაღებზე მეტ დათმობებს მოითხოვდნენ. ქურთების გარეშე კი მთავრობის დამტკიცება წარმოუდგენელი იყო. ქურთი ლიდერები, ხელისუფლებაში ადგილების გარდა, ერაყის ჩრდილოეთში მდებარე, ნავთობით მდიდარ კირკუკზე სრულ კონტროლსაც ითხოვდნენ. გარდა ამისა, ქურთები არაფორმალური შეიარაღებული ორგანიზაციის – "პეშმერგას" დაშლაზე არ თანხმდებოდნენ და ამ გადაწყვეტილებას უსაფრთხოების საბაბით ამართლებდნენ. დაბოლოს, ქურთები ითხოვდნენ გარანტიას, რომ ერაყში არასოდეს იქნებოდა შემოღებული შარიათის კანონები.

ჯერჯერობით ბუნდოვანია, დათანხმდა თუ არა ერაყის მმართველი შიიტური დაჯგუფება ქურთთა სხვა მოთხოვნებს, მაგრამ ქურთი პრეზიდენტის არჩევა რომ უდავოდ კომპრომისზე მეტი იყო, ცხადია.

"ეს არის ახალი ერაყი – ქვეყანა ირჩევს პრეზიდენტად ქურთს და ვიცე-პრეზიდენტად ყოფილ პრეზიდენტს, სუნიტ არაბს, - ამბობს პარლამენტის სპიკერი ჰაჯემი ალ-ჰასანი კენჭისყრის შემდეგ, - სხვა რა შეიძლება უნდოდეს ჩვენგან მსოფლიოს?"

ჯალალ თალაბანი 1933 წელს, ერაყის ქურთისტანში დაიბადა. განათლებით იურისტია, დამთავრებული აქვს ბაღდადის უნივერსიტეტი. 1975 წელს თალაბანიმ ქურთისტანის პატრიოტულ კავშირი შექმნა. ის სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ქურთების აჯანყებების აქტიური მონაწილე იყო.

სადამის დამხობის შემდეგ თალაბანი აშშ-ს ჯარების სარდლობის მიერ შექმნილი, ერაყის დროებითი მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შევიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ერაყის პრეზიდენტის თანამდებობა, მეტწილად, ცერემონიული ხასიათისაა და ქვეყნის მართვის რეალური ბერკეტები არ გააჩნია. ძალაუფლების ძირითადი ინსტრუმენტები თავმოყრილია მთავრობისა და მისი ხელმძღვანელის - პრემიერ-მინისტრის ხელში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ პრემიერ-მინისტრს საპრეზიდენტო კოლეგია (პრეზიდენტი და ორი ვიცე-პრეზიდენტი) ასახელებს და მხოლოდ შემდეგ ამტკიცებს პარლამენტი, ამ პოლიტიკურ ფიგურას უდიდესი მნიშვნელობა ემატება. მით უმეტეს, მაშინ როდესაც პრეზიდენტის ფუნქციებს ესოდენ გავლენიანი პირი (ჯალალ თალაბანი უზარმაზარი პატივისცემით სარგებლობს თანამემამულთა შორის. ამასთანავე, მის განკარგულებაში 20 ათასამდე კბილებამდე შეიარაღებული "პეშმერგას" მებრძოლი იმყოფება) ასრულებს.

შესაძლოა, ქურთთა შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობა (შიიტებისა და სუნიტების შემდეგ, ქურთები მესამე ადგილზე არიან ერაყელთა შორის) პრობლემებს არ შექმნიდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ არც შიიტებს და, მით უმეტეს, არც სუნიტებს ერთპიროვნული ლიდერი არ ჰყავთ.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ეთნოკონფესიურ ჯგუფებს შორის უთანხმოების გარდა, ერაყის ახალი მმართველების დანიშვნას შიდაპარტიული უთანხმოებაც აბრკოლებდა.

თუმცა, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი დაძლეულია. სავარაუდოდ, მთავრობის წევრების ვინაობაც მალე გახდება ცნობილი. გუშინ გავრცელებული ცნობით, პრემიერ-მინისტრის პოსტს გამარჯვებული შიიტური კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი იბრაჰიმ ჯაფარი დაიკავებს.

# „საქართველოს ბანკის" მორიგი სიახლე

*უკვე ორი დღეა, თბილისის აეროპორტში "საქართველოს ბანკის" მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა გაჩნდა. "საქართველოს ბანკი" აეროპორტის ადმინისტრაციულ შენობაში თავის კლიენტებს 24 საათის განმავლობაში მოემსახურება.*




ვახო ხაჩიძის ფოტო

**"საქართველოს წამყვანი ბანკი - სს "საქართველოს ბანკი" ყოველთვის ზრუნავდა მომსახურების დონის ამაღლებაზე. ბანკის უმთავრესი მიზანია, კლიენტი ჩვენი ბანკის მომსახურებით მაქსიმალურად კმაყოფილი დარჩეს,"** – განაცხადა "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალის მმართველმა ოთარ სულაძემ. მისი თქმით, "საქართველოს ბანკმა" სწორედ ამ მიზნით გახსნა აეროპორტში 24-საათიანი სერვის-ცენტრი.

"საქართველოს ბანკის" მიერ თბილისის აეროპორტში გახსნილი მომსახურების ცენტრი 24 საათის განმავლობაში იმუშავებს და, რაც მთავარია, კლიენტებს ყველა საბანკო მომსახურებას შესთავაზებს.

**"ახალი 24-საათიანი სერვის-ცენტრის საშუალებით, მგზავრებს, აეროპორტისა და "საქაერონავიგაციის" თანამშრომლებს, ასევე აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, იმ პროდუქტებით და მომსახურებით სარგებლობის საშუალება ექნებათ, რომლებიც "საქართველოს ბანკს" გააჩნია,"** - განაცხადა ოთარ სულაძემ. მათ შორის, სერვის-ცენტრში მისულ კლიენტს საშუალება მიეცემა, გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, აიღოს კუთვნილი ხელფასი, გაგზავნოს ფული სწრაფი გზავნილებით და სხვა.

როგორც "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალის მმართველმა ოთარ სულაძემ გუშინ ახალი მომსახურების ცენტრის გახსნის ცერემონიალზე განაცხადა, უახლოეს ხანში მსგავსი სერვის-ცენტრების გახსნა სავაჭრო ცენტრ "მეგალაინში" და შპს "პლასტმასშიც" იგეგმება. **24 საათი**

# ხორბლის ფასი მცირდება

*თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების ბირჟაზე ამერიკული ხორბლის ფასი ნელ-ნელა ეცემა. ამის ერთ-ერთ მიზეზად ექსპერტები დაბალხარისხიანი ფქვილის მოჭარბებულ იმპორტს ასახელებენ.*

მარიამ ჭაჭვაძე

უკანასკნელ ვაჭრობაზე, რომელიც გუშინ შედგა, 1 ტონა ხორბალი 294 ლარად და 40 თეთრად გაიყიდა, რაც დაახლოებით 160 აშშ დოლარის ეკვივალენტია. თუკი წლის დასაწყისში ჩატარებული ვაჭრობის შედეგებს თვალს გადავავლებთ, გუშინდელი სარეალიზაციო ფასი თითქმის 7 აშშ დოლარით ნაკლებია. ამ ფაქტს ბირჟის დირექტორი თემურ ხორხომელიძე რამდენიმე მიზეზით ხსნის. პირველი და უმთავრესი, ხორხომელიძის თქმით, იაფფასიანი იმპორტირებული ფქვილია, რომელიც დაბალი ხარისხით გამოირჩევა და რომლითაც გაჯერებულია დღევანდელი ბაზარი. შესაბამისად, შემცირდა ამერიკულ ხორბალზე მოთხოვნაც. თუ წლის დასაწყისში, იანვარსა და თებერვლის თვეებში ჩატარებული ვაჭრობის დროს, 6-7 ათას ტონაზე ნაკლები ხორბალი არ გაყიდულა, გუშინდელ ვაჭრობაზე მხოლოდ 3200 ტონა გაიყიდა. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი წინა ვაჭრობასთან შედარებით, თითქმის თხუთმეტჯერ არის გაზრდილი. რიგით მეთორმეტე ვაჭრობაზე, რომელიც გასულ პარასკევს გაიმართა, მხოლოდ 260 ტონა ხორბლის რეალიზაცია მოხერხდა. ბირჟის დირექტორი ვარაუდობს, რომ ამერიკულ ხორბალზე მოთხოვნა შემდგომ კვირებში კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან **"ახლა იწყება ყველაზე მძიმე თვეები, იმ თვალსაზრისით, რომ მსოფლიო ბაზარზე ხორბლის მარაგები ნელ-ნელა იწურება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს თემურ ხორხომელიძემ.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ ამერიკული ხორბლის დარჩენილი მარაგი - 12 ათას 140 ტონა გუშინ თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების ბირჟაზე მთლიანად გაიტანა, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ 3200 ტონის რეალიზაცია მოხერხდა. გუშინდელ ვაჭრობაზე, რომელიც წელს რიგით მეცამეტე იყო, 12 ორგანიზაცია ღებულობდა მონაწილეობას.

ამ ცოტა ხნის წინათ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი, როცა ის შექმნილ მძიმე ვითარებაზე სასაუბროდ პურ-პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს შეხვდა, დაბალხარისხოვანი ფქვილის იმპორტის შეზღუდვის ინიციატივით გამოვიდა. მინისტრის წინადადებით, ფქვილში წებოგვარას მაჩვენებელი, რომელიც ამ პროდუქტის ხარისხს განსაზღვრავს, 25 პროცენტზე ნაკლები არ უნდა იყოს. პურ-პროდუქტების მწარმოებლებმა სვიმონიშვილის ეს ინიციატივა მოიწონეს, თუმცა აღნიშნეს, რომ პრობლემის გადასაჭრელად ეს საკმარისი არ იქნება.

ამერიკული ხორბლიდან, რომელიც საქართველოს მთავრობამ, ჰუმანიტარული დახმარების სახით, გასული წლის სექტემბერში 50 ათასი ტონა მიიღო, ამ დროისთვის 37 ათას ტონაზე მეტი უკვე რეალიზებულია. აქედან, დაახლოებით 21 ათასი ტონა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაიყიდა.

როგორც შპს "აგროსისტემების" საინფორმაციო განყოფილების უფროსმა ქეთევან კუბლაშვილმა განაცხადა, ამერიკული ხორბლის რეალიზაციიდან ამოღებული თანხა ეროვნული ბანკის სპეცანგარიშზე ირიცხება, სადაც უკვე დაახლოებით 8 მილიონი ლარია აკუმულირებული. სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების თანახმად, ეს თანხა მთლიანად სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსებას უნდა მოხმარდეს. კონკრეტულად, რომელი პროგრამის დაფინანსებაზე დაიხარჯება ეს ფული, ამას სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აშშ-ს სოფლის მეურნეობის ატაშესა და ამერიკის საელჩოს ურთიერთშეთანხმება განსაზღვრავს.

# თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი იწყება

საქართველოში უახლოეს დღეებში თურქეთის რესპუბლიკიდან, ბარტერული გაცვლით, ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყება.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის თქმით, ზამთრის პერიოდში თურქეთის რესპუბლიკიდან აჭარის ენერგოკომპანია 60-70 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს, რის სანაცვლოდაც, საქართველო 1 კვტ ელექტროენერგიაზე 1.2 კვტ ელექტროენერგიას თურქეთის რესპუბლიკას ზაფხულის პერიოდში მიაწვდის.

მინისტრის განცხადებით, ფულადი გაანგარიშებით თურქეთიდან მიღებული ელექტროენერგია საქართველოს 3.3 თეთრი დაუჯდება, რაც ძალიან იაფია, რადგან რუსეთიდან იმპორტი 1.6 ცენტი, ხოლო სომხეთიდან - 2.7 ცენტი ღირს.

ელექტროენერგიის იმპორტი ორი კვირის განმავლობაში განხორციელდება, 2006 წელს კი - მთელი ზამთრის განმავლობაში. იმპორტი უახლოეს დღეებში დაიწყება.

*24 საათი*

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს სამსახურეობრივი ავტომანქანების ტექნიკური მომსახურეობის შესყიდვაზე

ტენდერი ცხადდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბალანსზე რიცხული 24 ერთეული ავტომანქანის (15 უცხოური და 9 რუსული (საბჭოთა) წარმოების) მომსახურეობისათვის. ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული მომსახურეობა უნდა განხორციელდეს 2005 წლის 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წ. 22-25 აპრილს, მისამართზე: თბილისი (0146), რუსთაველის გმზ. N30, ოთახი N62ა ტელ. 758335.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)
5. შესაბამისობის სერთიფიკატი.

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
4. შესაბამისობის სერთიფიკატი;
5. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 500 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი N62ა, **2005 წლის 27 აპრილს 1800 საათამდე.**

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

**ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსექცია ა/ა N507121303, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3133. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.)**

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს **ტელეფონის ნომერი - 75-82-91, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 96.**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ".

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერთიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 2004 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების მიერ ქვეყნის მასშტაბით 64 452 დაბადების მოწმობა გაიცა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, აქედან 18 667 ბავშვი არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაიბადა. გასულ წელს საქართველოში 17 553 წყვილის ქორწინება დარეგისტრირდა. ამავე პერიოდში განქორწინებათა რიცხვმა 2 222-ს მიაღწია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძებნის განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს განზრახ მკვლელობისთვის თბილისის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მიერ ძებნილი ლევან ორახელაშვილი, რომელმაც ყაზბეგის რაიონის დაბა გუდაურში, სასტუმრო "შინო-4"-ში ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა გიორგი შავგულიძე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ დილით, თბილისში, საარბრიუკენის მოედანზე შსს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერაცია ჩაატარეს.

პოლიციის ინფორმაციით, ეჭვმიტანილები მაშინ დააკავეს, როცა ისინი რამდენიმე დღის წინ ისანი-სამგორის რაიონიდან გატაცებული "ნივის" მარკის ავტომანქანის თბილისიდან გაყვანას ცდილობდნენ. ოპერაციის მსვლელობისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაც გახდა საჭირო, თუმცა არავინ დაშავებულა. დაკავებულები ამ დროისთვის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის განყოფილებაში არიან გადაყვანილები. მათი ვინაობა ზუსტდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახალქალაქი.** ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გუშინ ფინანსურმა პოლიცამ ახალქალაქში უაქციზო სიგარეტით მოვაჭრე მარტინ ნახატაკიანი დააკავა, რომელიც ადგილობრივ მაღაზიებს რუსული წარმოების "ნოვოსტითა" და "ტროიკით" ამარაგებდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ფინანსურ პოლიციაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. როგორც ახალქალაქის ფინანსური პოლიციის უფროსი ალეკო ქურდაძე აცხადებს, მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებიც რეგიონის მასშტაბით ყოველდღიურ რეიდებს აწყობენ, განსაკუთრებით კი - ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, სადაც უკანონო კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობის შემთხვევათა რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. ხვალისთვის მრავალი მაღაზიის დახურვაა მოსალოდნელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის "ლაგოდეხის" რეგიონული სამმართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე, "რაჭისუბნის" სასაზღვრო სექტორზე მესაზღვრეებმა ლაგოდეხში მცხოვრები საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. მათ აზერბაიჯანიდან საქართველოში ცხენით გადმოჰქონდათ, დაახლოებით, 500 ლიტრი კონტრბანდული დიზელის საწვავი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის "გარდაბნის" რეგიონული სამმართველოს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "წითელი ხიდის" მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოდან აზერბაიჯანში გადასვლის მცდელობისას მესაზღვრეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა დაადგინეს 23 წლის ომარ ჯ-ძე, რომელმაც თბილისში რესტორან "სითში" კლიპის გადაღებისას, ოპერატორს 23 წლის ზაზა სვანიძეს ვიდეოკამერა გასტაცა. საქმეს იძიებს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოქალაქე თეიმურაზ ნამორაძემ განაცხადა, რომ დაუდგენელმა პირებმა მას ყაჩაღურად გასტაცეს ავტომანქანა "გაზ"-31, ფული და მობილური ტელეფონი. მე-6 განყოფილების თანამშრომლების მიერ გატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგინდა ე.წ. "სვანური დაჯგუფების" წევრი, მესტიის რაიონის სოფელ ლატალში მცხოვრები, ნასამართლევი 23 წლის გეგი გ-იანი, რომელიც სხვა პირებთან ერთად თავს დაესხა ნამორაძის ოჯახს. მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, გასტაცეს ავტომანქანა, ფული და მობილური ტელეფონი. ავტომანქანა ამოღებულია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა საკუთარ სახლში დააკავეს დედაქალაქში მოქმედი შეიარაღებული ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი, ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, 44 წლის გელა ტ-ძე, მეტსახელად „ბოსი", რომელმაც ეთერ ოქრუაშვილს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, გასტაცა მობილური ტელეფონი, პირადი ნივთები და 20 აშშ დოლარი. ტ-ძის ბინიდან ამოიღეს პისტოლეტი „მაკაროვი" მჭიდითა და 6 ვაზნით. დადგინდა, რომ 2004 წლის 27 ნოემბერს ტ-ძე ვინმე დათოსთან და დაჯგუფების სხვა წევრებთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა მეწარმე "როსტომ ჩინჩალაძის" ოფისს. **მედიანიუსი**

# თბილისის N1 საპყრობილეში სატელეფონო თაღლითები გამოავლინეს



სატელეფონო თაღლითებისგან ამოღებული ნივთები.

საქართველოში არაერთი ადამიანი გამხდარა სატელეფონო თაღლითების მსხვერპლი. მათი ხელწერა ნაცნობია – მობილურ ან ქალაქის ტელეფონზე მიღებული ზარით გატყობინებენ, რომ თქვენმა ტელეფონის ნომერმა რომელიღაც გათამაშებაში გაიმარჯვა და მოგებული თანხის მისაღებად მობილური ტელეფონის ბარათების ყიდვაა საჭირო, რომელთა კოდებიც წინასწარ დასახელებულ ტელეფონის ნომერზე უნდა აცნობოთ, რის შემდეგაც, ასევე წინასწარ დასახელებულ მისამართზე, შეგიძლიათ მოგებული თანხა მიიღოთ. გულუბრყვილო მოქალაქეები ზუსტად ასრულებენ მითითებებს, აი, მითითებულ მისამართზე კი არაფერი მათთვის საინტერესო არ ხვდებათ. თაღლითები კი, რომლებიც, როგორც წესი, ციხიდან მოქმედებენ, ადვილად ივსებენ მობილური ტელეფონების დეპოზიტურ ანგარიშებს და გუშინდელ დღემდე არც სასჯელი აშფოთებდათ – რატომღაც, ციხეების ადმინისტრაციას სატელეფონო თაღლითების გამოვლენით აქამდე თავი არ შეუწუხებია. გუშინ კი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილეში იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ჩხრეკა ჩაატარეს და გამოავლინეს რამდენიმე პატიმარი, რომლებიც მოტყუებით, მობილური ტელეფონის საშუალებით, მოქალაქეებს სატელეფონო დეპოზიტების შესავსებ თანხას სძალავდნენ.

ჩხრეკისას უამრავი აკრძალული ნივთი ამოიღეს, ხოლო ერთ საკანში აღმოაჩინეს სიმბარათები, მობილური ტელეფონის აპარატები, მობილური კომპანიების "მაგთისა" და "ჯეოსელის" აბონენტების მოსატყუებლად წინასწარ შედგენილი ტექსტები აღნიშნული კომპანიების აბონენტთა დეტალურ სიებთან ერთად.

გარდა ამისა, ჩხრეკისას საპყრობილის საკნებიდან ამოღებულია ერთჯერადი შპრიცები, დანები, თვითნაკეთი მჩხვლეტავი და ბასრი საგნები და სხვა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გენერალური ინსპექცია მოკვლევას ატარებს, რომლის დასრულების შემდეგ მასალები პროკურატურას გადაეგზავნება.

აკრძალული ნივთების აღმოჩენისა და ამოღების მიზნით, ამ საპყრობილეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა უკვე ჩაატარა მსგავსი ღონისძიებები 29 და 31 მარტს და, მიუხედავად აკრძალული და საეჭვო ნივთების ასეთი სიმრავლისა, დეპარტამენტის თანამშრომლებს ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები შეუმჩნეველი დარჩათ.

*24 საათი*

# უპრეცედენტო სპეცოპერაცია პანკისის ხეობაში

*ამბავი, რომელიც რამდენიმე დღის წინ პანკისში მოხდა, თვით ხეობის მოსახლეობისთვისაც კი გამაოგნებელი აღმოჩნდა. იმის გამო, რომ 20 წლის დავით კუშტანაშვილი მშობლებს არ უჯერებდა, ოჯახის უფროსმა იგი, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, პოლიციას დააჭერინა; ბოლოს კი სამართალდამცველებმა გარიგება დაარღვიეს, მომხდარი საქმეში ჩაითვალეს და უდანაშაულო ახალგაზრდა ციხეში გამოამწყვდიეს. მის დასაჭერად სოფელ ომალოში სპეცოპერაციაც კი ჩატარდა. დაკავებულის ოჯახის წევრები დახმარებას ახლა უკვე სახალხო დამცველს სთხოვენ.*

ზვიად რუაძე
შორენა ხანგოშვილი
*კახეთიდან*

მომხდარის საფუძველი ის ქისტურ ტრადიცია გახდა, რომელიც პანკისის ხეობას დღემდე შემორჩა და, რომლის თანახმადაც, ოჯახის უფროსს ოჯახის წევრები უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ. სოფელ ომალოში მცხოვრები კუშტანაშვილების ოჯახში კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ოჯახის უფროსს, რამაზ კუშტანაშვილს თანასოფლელმა აცნობა, რომ მისი შვილი სიგარეტს ეწეოდა. სახლში დაბრუნებულმა მამამ შვილს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მუქარის მიუხედავად, 20 წლის დავით კუშტანაშვილი სახლიდან გაიქცა და სოფელ დუისში ბაბუის სახლს შეაფარა თავი. შვილის ამგვარმა საქციელმა ოჯახის უფროსს მოთმინება დააკარგვინა და მან რადიკალურ ზომას მიმართა. თუმცა, მანამდე რამაზ კუშტანაშვილმა დავითის სახლში დასაბრუნებლად დახმარებისთვის ნათესავ პოლიციელს მიმართა და ამან შედეგიც გამოიღო. დავით კუშტანაშვილი სახლში დაბრუნდა, მაგრამ ოჯახური იდილია რამდენიმე საათს გაგრძელდა. დავითი სახლიდან ისევ გაიქცა. ამის შემდეგ რამაზ კუშტანაშვილმა შვილის სახლში დასაბრუნებლად კვლავ მის ახლობელ პოლიციელს მიმართა და ახმეტის პოლიციის სამძებრო განყოფილების თანამშრომელს შვილის დაკავება შესთავაზა, მაგრამ პოლიციელმა, მტკიცებულების არარსებობის გამო, თავი შეიკავა; ხოლო მას შემდეგ, რაც რამაზ კუშტანაშვილმა იმავე პოლიციელს ტყეში ნაპოვნ ავტომატზე უამბო, იგი მამას გარიგებაზე დასთანხმდა.

**"დავითს ვუთახრი, რომ ჩემი შვილი პოლიციაში სამი დღე გაეჩერებინათ, ეცემათ და შემდეგ გამოეშვათ. თუ ვინმე შეედავებოდა, ეპასუხნა, რომ ეს ჩემი – მამის დავალება იყო. ამ დროს მე ავტომატიც გამოვიტანე და მაგიდაზე დავდე"**, - იხსენებს დაკავებულის მამა. აღნიშნული შეთავაზების შემდეგ პოლიციელმა კუშტანოვმა რამაზ კუშტანაშვილი დაარიგა, რომ იარაღი კარადის ქვეშ დაემალა, პოლიცია კი ჩხრეკას ჩაატარებდა და ცეცხლსასროლ იარაღს ამოიღებდა. სცენარი დაიწერა და რამდენიმე დღეში სპეცოპერაციაც შედგა. კუშტანაშვილის ბინიდან ავტომატი ამოიღეს და შემდეგ დავით კუშტანაშვილი დააკავეს. დაკავებიდან სამი დღის შემდეგ კი დავით კუშტანაშვილი თბილისის პირველ იზოლატორში გადმოიყვანეს. ამის შესახებ კუშტანაშვილების ოჯახის უფროსმა მას შემდეგ გაიგო, რაც შვილის სახლში წასაყვანად ახმეტის პოლიციაში მივიდა. მოგვიანებით რამაზ კუშტანაშვილმა პოლიციასთან გარიგება კატეგორიულად უარყო, თუმცა განაცხადა, რომ ნათესავმა პოლიციელმა "გადააგდო". **"არ ვიცოდი, ამას თუ გამიკეთებდნენ. დათომ მითხრა, - იარაღი იქით გაიტანეო. ვიფიქრე, ალბათ იმიტომ მეუბნება, ვინმემ არ დაინახოსო. ჩხრეკა ფაქტობრივად არც კი ჩატარებულა, ავტომატი დათომ თავად გამოიტანა. ჩვენებებს კი ხელს ბრმად ვაწერდი"**, - ამბობს რამაზ კუშტანაშვილი.

პოლიციელ დავით კუშტანოვს თავის სასარგებლო "არგუმენტად" ის მოჰყავს, რომ კუშტანაშვილების გვარმა ტრადიციული წესით განიხილა საქმე და იგი გაამართლა. დაკავებულის ოჯახის წევრები კი ამჯერად დახმარებას სახალხო დამცველს სთხოვენ. **"იქნებ სოზარ სუბარი მაინც დაგვეხმაროს, რადგან ჩემი შვილი ავადმყოფობს და ციხის პირობებს ვერ გაუძლებს"**, - ამბობს დაკავებული დავით კუშტანაშვილის დედა ელზა მარგოშვილი.


# განცხადება

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს *საწვავის* შესყიდვაზე

### რეკვიზიტები - რუსთაველის გამზირი N30, 0146. თბილისი

**შესყიდვის ობიექტებია:**

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი ოქტანური რიცხვი არანაკლებ 98, ლოტი N1 | 6400 ლიტრი | მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით | 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად 800 ლიტრი |
| 2 | ბენზინი ოქტანური რიცხვი არანაკლებ 91, ლოტი N2 | 272400 ლიტრი | მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით | 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად 34050 - ლიტრი |
| 3 | დ-62 - დიზელი ლოტი N3 | 69600 ლიტრი | მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით | ნოემბერი და დეკემბერი - 20400-ლიტრი. მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი და ოქტომბერი - 49 200 ლიტრი. |
| 4 | დიზელის საწვავი გათბობისთვის ლოტი N4 | 18 000 ლიტრის | მიმწოდებლის საკუთარი ტრანსპორტით იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში | ნოემბერი დეკემბერი ყოველთვიურად 9000 ლიტრი |
| 5 | ავტოგაზი (ბუნებრივი) ლოტი N5 | 24 000 კუბ. მ. | მიმწოდებლის საკუთარი გაზგასამართი სადგურებიდან სატალონო მომსახურებით | 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად 3000 კუბ. მ. |

ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2005 წლის 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით),) 2005 წ. 21 აპრილიდან 22 აპრილის $18^{00}$ საათამდე:

თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი N30, ოთახი **N62ა ტელ 758335**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)
5. ნებართვას საწვავის რეალიზაციაზე;
6. საწვავის ნომენკლატურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტს მისაწოდებელ საქონლზე

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. ცნობას ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
4. ნებართვას საწვავის რეალიზაციაზე;
5. საწვავის ნომენკლატურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტს მისაწოდებელ საქონლზე ;
6. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 500 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი **N62ა ქართულ ენაზე**, 2005 წლის 25 აპრილიდან 26 აპრილის $18^{00}$ საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

**ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსექცია ა/ა N507121303, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3133. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.)**

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს **ტელეფონის ნომერი - 75-83-35, რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 62ა.**

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ".

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერთიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის $24^{1}$ მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

დიპლომის მნიშვნელობა



B2

პატარა ბორჯღალოსნები დასარჩენად იბრძოლებენ



B3

ბრუკ შილდსი ბრიტანულ სცენაზე



B4


რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ბოლოდროინდელმა საფეხბურთო მოვლენებმა, უნებურად, გააჩინა აზრი - მართლაც, ღირს თუ არა ისეთ ფენომენზე წერა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, პრაქტიკულად, აღარ არსებობს; ან, თუნდაც, ჩვენი რუბრიკის სტუმრებმა როდემდე უნდა იმსჯელონ საზღვარგარეთული ფეხბურთის შესახებ (ამას ხომ უცხოელი სპორტული მიმომხილველები უკეთ ახერხებენ), ქართული ფეხბურთის წარსულსა და ბუნდოვან მომავალზე; გულშემატკივარსაც და მკითხველსაც ცოცხალი, ქართული ფეხბურთის მიმოხილვა ენატრება და არა - დასამარებულის; მით უმეტეს, რომ "მიცვალებულზე" ცუდის თქმაც უხერხულია... საკვირველია და, გულშემატკივრები ისევ არსებობენ - ნაწილი ბოთლებს ისვრის, ნაწილი იგინება, ზოგი კი, ეტყობა, მართლაც ნამდვილი გულშემატკივარია და ისევ გამოსავალს ეძებს... ჩვენს რესპონდენტებს გამოსავლად ბავშვთა ფეხბურთის აღორძინება მიაჩნიათ. რუბრიკის დღევანდელი სტუმრები საუბრობენ ბავშვთა ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე და იმაზე, თუ როგორი სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ პრობლემებისადმი უგულისყურო დამოკიდებულებას, რისი ნათელი მაგალითიც საქართველოს ნაკრებმა უკვე თვალსაჩინოდ დაგვანახა...*

*რუბრიკის სტუმრები არიან - საფეხბურთო კლუბ "ირაოს" მთავარი მწვრთნელი ლევან ანდღულაძე და გულშემატკივარი მერაბ შარაშენიძე.*



# განათლებული მწვრთნელები - პირველ რიგში, ბავშვთა ფეხბურთს

## შიში დამღუპველი გრძნობაა

**ლევან ანდღულაძე:** "ქართული ფეხბურთის მომავალი ბავშვთა ფეხბურთის გადარჩენაა და, ვფიქრობ, ამაზე სერიოზული დაფიქრება მართებს სახელმწიფოსაც, ფედერაციასაც და ჩვენც - მწვრთნელებს, ვისაც ეს საქმე გვაბარია. პირველ რიგში, მწვრთნელების სწავლა-განათლების საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი; ჩვენში ეს საქმე ძალიან დაბალ დონეზეა. დღეს საქართველოში სერიოზულად ჯერაც არავინ დაფიქრებულა, რომ ბავშვების წვრთნის პროცესში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სამი სრულიად განსხვავებული ფაზა არსებობს: პირველი ფაზა, 6-დან 8 წლამდე, "წიწილების" სახელითაა ცნობილი. ეს ის პერიოდია, როცა პატარებს ფეხბურთი უნდა შევაყვაროთ. ამიტომ ვარჯიშები უნდა იყოს მხიარული, დაუძაბავი, გასართობი და აუცილებლად მცირე ზომის სტადიონზე ტარდებოდეს; მეორე ფაზაში, 9-დან 13 წლამდე, ხდება საფუძვლის ჩაყრა - იწყება სისწრაფეზე მუშაობა, ბავშვები უნდა თამაშობდნენ შემცირებულ მოედნებზე; 13-დან 16 წლამდე კი მესამე ფაზა დგება და ესაა ძირითადი ასაკი, როდესაც იწყება ფიზიკური დატვირთვები, გადავდივართ სტანდარტულ მოედანზე. აი, სწორედ ეს პერიოდია ძალიან რთული, რომელიც მწვრთნელისგან ძალიან დიდ ცოდნას და სიფრთხილეს მოითხოვს. ეს სტრატეგიული ასაკია, და მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოში დღეს არ არსებობს მწვრთნელი, რომელმაც ზუსტად იცის ის ნიუანსები, რაც ამ ასაკის ფეხბურთელებთან ურთიერთობას სჭირდება. ამ ასაკის ბიჭი შეიძლება გაზარდო კარგ ადამიანად, კაცად, მაგრამ - არა იმ ფეხბურთელად, რასაც დღევანდელი და, საერთოდ, სერიოზული ფეხბურთი მოითხოვს; აქ ეს არავინ არ იცის - ან საიდან უნდა იცოდნენ, არავის უსწავლებია. გულწრფელად ვამბობ, რომ მე ნამდვილად არ ვიცი. მე ახლა ათი-თერთმეტი წლის ბავშვებს ვავარჯიშებ და მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს, მაგრამ იმ კრიტიკულ ასაკს რომ მიაღწევენ ჩემი აღსაზრდელები, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ უნდა მოვიქცე - მხოლოდ ის ვიცი, რომ შეცდომების დაშვების უფლება არ მაქვს, იმიტომ, რომ მთელი ამაგი წყალში ჩამეყრება; თან ისეთი მწვრთნელიც არავინ მეგულება, ვისაც ამ ჩემს ნაამაგარ ბიჭებს იმ ასაკში ვანდობ. რა ვიცი, ალბათ ისევ ვინმეს უნდა შევეხვეწო, რომ დამაფინანსონ - იქნებ უცხოეთში წავიდე და ის აუცილებელი ცოდნა, რაც მაკლია, იქ შევიძინო. ტაქტიკური განათლება, თეორია რომ დაიწყება, მე აუცილებლად დამჭირდება უფრო ღრმა ცოდნა"...

**მერაბ შარაშენიძე:** "შენც - და ყველა სხვა მწვრთნელსაც; რა თქმა უნდა, ჯერ მწვრთნელებმა უნდა ისწავლონ, რომ მერე ფეხბურთელებს ასწავლონ. სხვათა შორის, საშუალო ფეხბურთელის გაზრდა კიდევ შესაძლებელია ასე სპონტანურად, ნიჭიერის თავის ნებაზე მიშვება უარესია, იმიტომ, რომ ნიჭიერი კაცის გაზრდა ბევრად ძნელია. ასე იკარგება საქართველოში უკვალოდ უამრავი ვარსკვლავი. ნურავინ იტყვის, - ნიჭი გზას მაინც ნახავსო. იმაზე დავა სისულელეა - მთავარი წვრთნაა თუ ბუნება; ცხადია, რომ ორივე მთავარია, ისევე როგორც ყველა სხვა სფეროში - ფეხბურთი ხომ ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მე ვიტყოდი, რომ ჩვენთვის - ქართველებისთვის სპორტზე ბევრად მეტია"...

**ლევან ანდღულაძე:** "პატრიოტული სულის გამოვლენაა; ზოგჯერ გადმონთხევაც - ხომ ხედავთ, როგორ იმეორებენ, ირეკლავენ ქვეყნის ახლანდელ მდგომარეობას, თავის მხრივ, ფეხბურთელებიც და აგრესიული მაყურებლებიც"...

**მერაბ შარაშენიძე:** "ახლა ჟირესს ბევრს აკრიტიკებენ, მაგრამ გუნდზე მის პოზიტიურ გავლენას მე მაინც ვხედავ - თუნდაც იმას, რომ ოდნავ მაინც მოთოკა ქართველი ფეხბურთელების ამპარტავნება, მაგრამ მისი, როგორც მწვრთნელის, მთავარი ნაკლი სწორედ ისაა, რომ ბოლომდე ვერ აუღო ალღო ამ ქართულ ხასიათს - ის ვერ ასწავლა, რომ პირველი გოლის გაშვება ტრაგედია არ არის და ამის შემდეგ ბრინჯებივით არ უნდა იბნეოდნენ"...

**ლევან ანდღულაძე:** "ეგ დაბნევაც ზუსტად იმ გარდატეხის ასაკში დაშვებული შეცდომების შედეგია - ბრძოლის ჟინი, უნარი მოგვიანებით უნდა განუვითარო ადამიანს და არა ადრეულ ასაკში. ცნობილია, რომ პატარა ასაკის ფეხბურთელებს კონკურსებში, ტურნირებში მონაწილეობა არ უნდა მიალებინო; შეჯიბრება უნდა იყოს ფესტივალის, ზეიმის ხასიათის; ჯილდოები ყველას თანაბრად უნდა გაუნაწილდეს, გამონაკლისების გარეშე - ამის გარეშე, ადრეულ სტრესებს თავიდან ვერ აიცილებ და ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვნახეთ, სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანს. საერთოდ, ბავშვობიდანვე გუნდთან ფსიქოლოგები უნდა მუშაობდნენ"...

**მერაბ შარაშენიძე:** "რა თქმა უნდა - წაკითხული მაქვს, რომ ბრაზილიის ნაკრებში, თან იმ დროს, როცა პელე და გარინჩა თამაშობდნენ, ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური წვრთნა ცალკე უტარდებოდათ. თუკი პელეს და გარინჩას გუნდს სჭირდებოდა ფსიქოლოგი, ჩვენს გუნდებს მით უმეტეს სჭირდებათ. გარდა ამისა, ლევანმა რომ რთული ასაკი ახსენა, იმ ასაკის ბიჭებს, მოგეხსენებათ, რა ფრთხილი მიდგომა ესაჭიროებათ; ამ ასაკის ბიჭი უკვე საკმაოდ ჭკვიანია და თან ძალიან სამართლიანი - ვერანაირ სიყალბეს ვეღარ გამოაპარებ, არ მოტყუვდება. ამიტომ ფსიქოლოგიც საჭიროა და მწვრთნელიც ძალიან ავტორიტეტული უნდა იყოს".

**ლევან ანდღულაძე:** "თავი რომ დავანებოთ ბაზების, სტადიონების არარსებობას, ამ ყველაფერს ისევ ფინანსებამდე მივყავართ. ამიტომ, ფედერაციამაც და სახელმწიფომაც კეთილი უნდა ინებონ, რამენაირად მორიგდნენ და ბავშვთა ფეხბურთს სერიოზულად მიხედონ - უკრაინისგან და თურქეთისგან აიღონ მაგალითი"...

**მერაბ შარაშენიძე:** "ფინანსური მხარე, რა თქმა უნდა, სერიოზული არგუმენტია, მაგრამ, ვფიქრობ, არა - მთავარი. მე, პირადად, ის უფრო მაღიზიანებს, რომ ბოლო დროს ქართველ ფეხბურთელებში რაღაც მშიშრულ სულს ვხედავ, დამარცხებული ადამიანის ფსიქოლოგიას; შიშით გაკეთებული არანაირი საქმის არ მწამს. რამ გამოიწვია ეს ყველაფერი, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ამ ფეხბურთელების წინაპარ ქართველ ფეხბურთელებს - მიშა მესხს, სლავა მეტრეველს, თუნდაც დათო ყიფიანს, ისეთ ეპოქაში მოუწიათ თამაში, ისეთი პრესის ქვეშ იყვნენ და, საერთოდ, კაპიკებს უხდიდნენ, რომ შიშის და დამარცხების საფუძველი უფრო მეტი ჰქონდათ. მაგრამ, როგორც ჩანს, იქ ფეხბურთის სიყვარული სჭარბობდა, დღესასწაულის მოწყობის სურვილი. ფეხბურთი ხომ ადამიანის გასახარებლადაა მოგონილი. ვფიქრობ, ვიდრე პროფესიონალი ფსიქოლოგების საშუალება გაჩნდება, კარგი იქნება, ძველი თაობის გამოცდილმა ფეხბურთელებმა ხშირი და უშუალო კონტაქტი იქონიონ ბავშვებთან და თავიანთი ეს გამოცდილება გადასცენ, ბრძოლის ჟინი გაუღვივონ; უთხრან, რომ ფეხბურთი უფრო უნდა უყვარდეთ, ვიდრე ის კეთილდღეობა, რაც მისი წყალობით შეიძლება მიიღონ. და კიდევ, ვისურვებდი, ჩვენი მოთამაშეებიც ისევე ფიქრობდნენ, რაც ერთხელ გაბრიელ პასარელასთან ინტერვიუში ამოვიკითხე - ჟურნალისტი პასარელას ბევრ შეკითხვას უსვამდა სხვადასხვა გუნდიდან შეთავაზებული ანაზღაურების თაობაზე, - რომელს ამჯობინებთო; პასარელამ უპასუხა: ყველაფერს მირჩევნია ის დიდი სიყვარული, როცა "რივერ პლეიტის" გადაჭედილი სტადიონი, როგორც ერთი კაცი, ჩემს გვარს გაჰყვირის. ამას არაფერში არ გავცვლი და სულ ვეცდები, ეს სიყვარული არ დავკარგოო".




პაულო კოელიოს სვეტი

# დიპლომის მნიშვნელობა



ჩემი წისქვილი პირენეების პატარა სოფელში მდებარეობს. მეზობლის ფერმისგან ხეების მწკრივი აშორებს. ამასწინათ ეს მეზობელი მესტუმრა. 70-იოდე წლის კაცია. მანამდეც სულ ვხედავდი ხოლმე, მეუღლესთან ერთად როგორ შრომობდა ფერმაში. მახსოვს, მის დანახვაზე ხშირად გამიელვებდა ხოლმე აზრი, რომ მოხუცები არიან და წესით, აღარ უნდა მუშაობდნენ.

მოკლედ, მოხუცი კაცი მოვიდა და ძალიან მორიდებული ტონით მითხრა, რომ თურმე ჩემი ხეებიდან ფოთლები მის სახურავზე ცვივა, ეს ცუდია, რადგან დროთა განმავლობაში წვიმის ღარები გაიბიდნება და გაფუჭდება და მე ამიტომ ხეები უნდა მოვჭრა.

მართალი გითხრათ, მისმა სიტყვებმა გამაოგნა. ვერაფრით მივხვდი, როგორ შეეძლო კაცს, რომელსაც მთელი ცხოვრება ბუნების წიაღში გაუტარებია, ასეთი რამ ეთხოვა ჩემთვის. როგორ შეეძლო, მოსაჭრელად გაემეტებინა არსება, რომელიც ასე სათუთია და ასე ნელა იზრდება და გაემეტებინა რა მიზეზით? მხოლოდ იმიტომ, რომ ათიოდე წელიწადში ხიდან ჩამოცვენილი ფოთლები პრობლემას შეუქმნიდა წვიმის ღარებს?

გავოგნდი, მაგრამ მოხუცი შინ ყავაზე მაინც შევიპატიჟე. მერე კი ვუთხარი, რომ სახურავზე პასუხისმგებლობას თვითონ ვიღებდი. თუ გამხმარი ფოთლების გამო სახურავი მართლაც დაზიანდება, მე პირადად ვიზრუნებდი სახლის თავიდან გადახურვაზე.

მაგრამ მეზობელმა ჩემს წინადადებას მტკიცე უარით უპასუხა. მითხრა, რომ საერთოდ არ აინტერესებს ჩემი პასუხისმგებლობები და ერთადერთი, რაც მას სურს, ხეების მოჭრაა. ამან კიდევ უფრო გამაღიზიანა და განვუცხადე, რომ ხეების მოჭრას მისი ფერმის ყიდვა მირჩევნია.

"ჩემი მიწა არ იყიდება" - მიპასუხა.

"მაგრამ ამ ფულით, შეგიძლიათ ქალაქში მშვენიერი სახლი იყიდოთ და თქვენს მეუღლესთან ერთად მშვიდად იცხოვროთ - ცივი ზამთრებისა და დაკარგულ მოსავალზე დარდის გარეშე".

"ფერმა არ იყიდება-მეთქი. მე აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, საცხოვრებელი ადგილის შეცვლისთვის ძალიან მოხუცი ვარ".

ბოლოს მან ასეთი რამ შემომთავაზა: ქალაქიდან ჩამოგვეყვანა მომრიგებელი, რომელიც შექმნილ სიტუაციას ობიექტურად შეაფასებდა და გადაწყვეტდა, რომელი მხარე იყო მართალი; თანაც ეს ყველაფერი მოხდებოდა ისე, რომ ჩვენ ზედმეტად ერთმანეთს აღარ გავაღიზიანებდით. "ბოლოს და ბოლოს, ხომ მეგობრები ვართ" - დაამატა მან.

ფერმერი წავიდა. პირველი კი, რაც ვიფიქრე - როგორც უკვე მოგახსენეთ - ის იყო, რომ მოხუცი აღმოჩნდა უგრძნობი და გულგრილი კაცი, რომელსაც საერთოდ არ უყვარს ბუნება. მხოლოდ შემდეგ გამკრა კითხვამ: მაგრამ მაშინ რატომ არ მოისურვა თავისი მიწის გაყიდვა? ძალიან ბევრი ვიფიქრე. ფიქრში დღეც მიილია. დაბინდდა და მე მხოლოდ მერე მივხვდი: ამ კაცს ცხოვრების ერთი ისტორია აქვს და მასში კორექტივების შეტანა არ უნდა. ქალაქში გადასახლება მისთვის სრულიად ახალ გარემოში ყველაფრის თავიდან დაწყებას და ახალ ფასეულობებთან შეგუებას ნიშნავს. ამ ყველაფრისთვის კი ასაკი არ მიწყობს ხელსო - ფიქრობს, ალბათ.

საინტერესოა, ასეთ დასკვნებს ბევრი ადამიანი აკეთებს, თუ მხოლოდ ჩემი ფერმერი მეზობელი უფრთხის სიახლეებს? უნდა ვიფიქროთ, რომ ის გამონაკლისი არ არის. უფრო პირიქით - ბევრს ემართება ასე. ხანდახან ისე მივეჯაჭვებით ხოლმე ჩვენივე ცხოვრების წესს, რომ ათასობით ახალ შესაძლებლობას ვუშვებთ ხელიდან. ვატანთ ქარს სასიამოვნო სიახლის შანსს და მარტივად იმ მიზეზით, რომ აზრზე არ ვართ, როგორ გამოვიყენოთ ეს შანსი.

ჩვენი ფერმერის შემთხვევაში, მიწა და სოფელი ის ერთადერთი ადგილია, რომელსაც ის იცნობს და არ სურს მისი დაკარგვა.

ქალაქელები სხვანაირად არიან, სხვა რამეზე მიჯაჭვულები. მათ ჰგონიათ, რომ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ უნივერსიტეტის ხარისხი, აუცილებლად უნდა დაქორწინდნენ, აუცილებლად გააჩინონ ბავშვები და ა.შ. არავის არ უჩნდება კითხვა: "ნეტავ, თუ შეიძლებოდა სხვა რამე მეკეთებინა ცხოვრებაში?"

მახსოვს, ჩემი პარიკმახერი დღე და ღამეს ასწორებდა მუშაობით, ოღონდ კი ფული შეეგროვებინა ქალიშვილისთვის, რათა მას სოციოლოგიაში სწავლის დასრულება და დიპლომის მოპოვება შეძლებოდა. გოგონამ უნივერსიტეტი მართლაც დაამთავრა. მერე უამრავი კომპანია ჩამოიარა, ათას კარზე მიაკაკუნა, და სამსახური ძლივს იპოვა - ცემენტის ქარხანაში, მდივნად. ასეთი დიდი იმედგაცრუების მიუხედავად, ჩემი პარიკმახერი სულ სიამაყით იმეორებდა ხოლმე: "ჩემს გოგონას უნივერსიტეტის დიპლომი აქვს".

დიპლომი ჩემი მეგობრების უმრავლესობას და მათი შვილების უმრავლესობას აქვს. მაგრამ საუნივერსიტეტო ხარისხმა მათ სასურველ სამსახურში მოწყობის გარანტია მაინც ვერ მისცა, უფრო პირიქით - უნივერსიტეტში მათ მხოლოდ იმიტომ ისწავლეს, რომ იმ დროში ეს მოდური იყო, იმ დროში სხვანაირად არ შეიძლებოდა, რადგან ერთხელ ვიღაცამ თქვა - ცხოვრებაში რამე თუ გინდა გამოგივიდეს, დიპლომი უნდა გქონდესო და ეს ნათქვამი ყველამ აიტაცა. ასე დაკარგა მსოფლიომ საუკეთესო მებაღეები, მცხობელები, ანტიკვარიატით მოვაჭრენი, მოქანდაკეები და მწერლები. ექიმებმა, ინჟინრებმა, მეცნიერებმა, იურისტებმა მართლაც აუცილებლად უნდა მიიღონ საუნივერსიტეტო განათლება, მაგრამ დანარჩენებმა? კითხვას რობერტ ფროსტის ლექსით ვუპასუხებ:

"ტყეში ბილიკი ორად გაიყო,
მე გაუკვალავს დავადექი,
ასეც უნდა მექნა, რადგან
ყველაფერი შეიცვალა".

P.S. მეზობლის ისტორიის დასასრულებლად: გამრიგებელი ჩვენს მოსარიგებლად მართლაც ჩამოვიდა ჩვენს სოფელში. ჩემდა გასაოცრად მან გამაცნო საფრანგეთის კანონი, რომლის მიხედვითაც ხეები სხვისი უძრავი ქონებიდან სამი მეტრის დაშორებით უნდა იყოს დარგული. ჩემი ხეები კი ორი მეტრის ინტერვალით დგას. ამიტომაც მომიწევს მათი მოჭრა.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ევროკავშირის "საქართველოში პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების განხორციელების მხარდამჭერი პროექტის" მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს საუკეთესო თემის წერაში, სათაურით - ***"საქართველო და ევროკავშირი -თქვენი ხედვა"***

***კონკურსის პირობები:***
■ კონკურსი ტარდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
■ კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს (ინგლისური ენის ფლობა სასურველია);
■ საკონკურსო თემა არ უნდა აღემატებოდეს სამ გვერდს;
■ თემაში მოსწავლემ უნდა გამოავლინოს ზოგადი ცოდნა საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ და კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნება.

შემოტანილი თემებიდან კომპეტენტური ჟიური შეარჩევს ათ საუკეთესო თემას, რომელთა ავტორები მოწვეულ იქნებიან თბილისში გასაუბრებაზე. ინდივიდუალური გასაუბრების დროს გამოვლინდება სამი საბოლოო გამარჯვებული. გამარჯვებულები მიწვეულ იქნებიან ევროკავშირის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდება თბილისში მიმდინარე წლის სექტემბერში. კონფერენციაზე გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან და გადაეცემათ სერთიფიკატები.

მოსწავლეებმა საკონკურსო თემები ქართულ და/ან ინგლისურ ენებზე (სასურველია ორივე ენაზე), საკონტაქტო მონაცემებთან ერთად (სახელი, გვარი, სკოლა, მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) უნდა დატოვონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფოიეში, მისამართზე, ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. **N52 ან** გამოგზავნონ ელ-ფოსტით, მისამართზე, europamesge@yahoo.com

თემების შემოტანის ბოლო ვადაა **2005 წლის 7 მაისი.**

ევროპული ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია შემდეგ ინტერნეტ მისამართებზე: www.europa.eu.int
http://www.delgeo.cec.eu.int/
www.europa.ge

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:**
ლელა მაისურაძეს
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ევროპული ინტეგრაციის სამმართველო
ტელ: 95 75 23
ფაქსი/ტელ: 95 79 47
ელ-ფოსტა: lelamaisuradze@mes.gov.ge

---

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 25 იანვრის N47 გადაწყვეტილებაში "ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ" ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2005 წლის 25 მარტს მიღებული იქნა დადგენილება №5 "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენისა და განხილვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 15 მაისის N2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362-ე მუხლის პირველი პუნქტის, კომისიის 2005 წლის 25 მარტის № 5 დადგენილების "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენისა და განხილვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 15 მაისის N2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. "ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 25 იანვრის №47 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალობდეს შემდეგი რედაქციით:
"დ) განსახორციელებელი საქმიანობის სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული უნდა იყოს:
დ.ა.) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური აღწერილობა, რაც მოიცავს: სავარაუდოდ გამოსაყენებელი ტექნოლოგიების ზოგად აღწერილობას, განსახორციელებელი საქმიანობის (მომსახურების) გეორგაფიული ზონის დაფარვის მიზნით საბაზო სადგურების სავარაუდო რაოდენობას, საერთო სარგებლობის ქსელში ჩართვის აღწერილობას (ფუნქციონალური სქემას);
დ.ბ.) განსახორციელებელი საქმიანობის (მომსახურების) გეორგაფიული საზღვრები.
ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილმა სამშენებლო-ტექნიკურმა დოკუმენტაციამ სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში."

ბ) ამოღებული იქნას გადაწყვეტილების მე-10 მუხლის "ა" ქვეპუნქტი;

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა, 6 თვის ვადაში;

---

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 11 მარტის N145 გადაწყვეტილებაში "ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ" ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2005 წლის 25 მარტს მიღებული იქნა დადგენილება № 5 "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენისა და განხილვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 15 მაისის N2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

"კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362-ე მუხლის პირველი პუნქტის, კომისიის 2005 წლის 25 მარტის № 5 დადგენილების "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის წარდგენისა და განხილვის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2001 წლის 15 მაისის N2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

1. "ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 25 იანვრის №47 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) გადაწყვეტილების მე-6 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალობდეს შემდეგი რედაქციით:
"დ) განსახორციელებელი საქმიანობის სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული უნდა იყოს:
დ.ა.) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური აღწერილობა, რაც მოიცავს: სავარაუდოდ გამოსაყენებელი ტექნოლოგიების ზოგად აღწერილობას, განსახორციელებელი საქმიანობის (მომსახურების) გეორგაფიული ზონის დაფარვის მიზნით საბაზო სადგურების სავარაუდო რაოდენობას, საერთო სარგებლობის ქსელში ჩართვის აღწერილობას (ფუნქციონალური სქემას);
დ.ბ.) განსახორციელებელი საქმიანობის (მომსახურების) გეორგაფიული საზღვრები."
ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილმა სამშენებლო-ტექნიკურმა დოკუმენტაციამ სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

ბ) ამოღებული იქნას გადაწყვეტილების მე-10 მუხლის "ა" ქვეპუნქტი;

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა, 6 თვის ვადაში;

---

# პირველი "ოქსფორდი" ქართულად

ვერა ნეფარიძე

*საქართველოში ბრიტანეთის ყველაზე მსხვილი აკადემიური გამომცემლობის პირველი წიგნი გამოიცემა. "ოქსფორდის" ქართულად ნათარგმნი, ლიცენზირებული, ილუსტრირებული სამეცნიერო ენციკლოპედია ქართული წიგნის ბაზარზე ოქტომბრიდან გაჩნდება. თუმცა, "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და მკითხველს ხელმოწერების სახით 38-პროცენტიანი ფასდაკლების შანსსაც აძლევს.*

"გია ქარჩხაძის გამომცემლობის" სიახლეები რამდენიმე გარემოების გამოა საინტერესო და მნიშვნელოვანი ჩვენთვის. პირველ რიგში, ეს არის "ოქსფორდთან" (Oxford University Press, შემოკლებით - OUP) დადებული კონტრაქტი, რომელიც არც ისე იოლი მისაღწევია და ქართველი წიგნის გამომცემლების სასიამოვნო მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს. და მეორე - ასეთ სიახლეს თან ახლავს 38-პროცენტიანი ფასდაკლების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, საქართველოში ხელმოწერების სისტემის განახლებას შეუწყობს ხელს.

მომავალი მეცნიერის შთაგონების წყარო - 448-გვერდიანი ფერადი, უხვად ილუსტრირებული ოქსფორდის სამეცნიერო ენციკლოპედია სკოლის ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი და შარშანდელი განახლებულია. ბრიტანულ მხარესთან თანამშრომლობას ქართულმა გამომცემლობამ ნახევარ წელიწადზე მეტი მოანდომა. ისიც აღსანიშნავია, რომ "ოქსფორდი" საკუთარ სახელს ასე იოლად არ "ჰყიდის". თანამშრომლობის პირველი, ყველაზე მარტივი სტადია, როგორც წესი, ამგვარია: პარტნიორები ყიდულობენ ინგლისელებისგან გამოცემებს, მაგრამ არა აქვთ უფლება მიუთითონ "ოქსფორდის" სახელი. იგივე პრინციპით შედგებოდა პარტნიორობა ქართულ გამომცემლობასთანაც. თუმცა, როგორც ჩანს, ინგლისელებმა მიიღეს საჭირო გარანტიები, რომ ენციკლოპედიის გამოცემით მათ პრესტიჟს არაფერი დააკლდებოდა - OUP ხომ საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე სრულიად დამსახურებულად სარგებლობს დიდი ავტორიტეტით. ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული გამომცემლობა მე-17 საუკუნეში მეფე კარლოს პირველის ბრძანებით შეიქმნა. სწორედ ამ დროიდან გაიზარდა ინგლისში წიგნის გამოცემის სიხშირე, რაც საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკაზეც დადებით ზეგავლენას ახდენს. მთელ მსოფლიოში (მათ შორის ჩვენთანაც) ინგლისური ენის შესასწავლად ყველაზე საიმედოდ სწორედ "ოქსფორდის" გამოცემები მიიჩნევა. ინგლისურ გამომცემლობაში საგანმანათლებლოსთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სამეცნიერო ლიტერატურას. საბავშვო-საგანმანათლებლო მიმართულება კი ის ძირითადი ხაზია, რითაც "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" სამამულო ბაზარზე მუშაობის გაგრძელებას აპირებს. ეტყობა, ამგვარმა დამთხვევებმაც ხელი შეუწყო ორ გამომცემლობას შორის პარტნიორობას.

ამჯერად "გია ქარჩხაძის გამომცემლობაში" ორი "დიდი პროექტის" ირგვლივ მიმდინარეობს მუშაობა. შემოდგომაზე დაგეგმილია კიდევ ერთი წიგნის - "მსოფლიოს მითოლოგიის" (ინგლისური გამომცემლობა "ასბორნი") გამოცემა. 160-გვერდიანი ფერადი გამოცემა, ზღვა ინფორმაციითა და მსოფლიოს მითოლოგიის ღრმა ანალიზით, რაც მკითხველს კაცობრიობის კულტურის სათავეებთან მიყვანას ჰპირდება, მზად იქნება სექტემბერში; თუმცა, ეს უკვე არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ სტუდენტებისა და საერთოდ, მსოფლიო კულტურით დაინტერესებული ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის უნდა იყოს საინტერესო.

რაც შეეხება ხელმოწერებს. ის მეტად სასარგებლო უნდა იყოს ორივე გამოცემის შეძენის მსურველებისთვის. ხელმოწერების პრინციპი საკმაოდ მოხერხებულია (და ალბათ ამიტომაცაა დროში შეზღუდული - მაისის ჩათვლით): თბილისის სამივე მსხვილ წიგნის მაღაზიაში ("პარნასი", "წიგნის სახლი" და "ლიტერატურული კაფე") უნდა მოიკითხოთ "გია ქარჩხაძის გამომცემლობის" ხელმოწერის ქვითრები, რაც 40-ლარიანი "ოქსფორდის ილუსტრირებული სამეცნიერო ენციკლოპედიის" 25 ლარად შეძენის შესაძლელბლობას იძლევა; 26-ლარიანი "მსოფლიოს მითოლოგიისთვის" კი ამ გზით მხოლოდ 16 ლარის გადახდა მოგიხდებათ; სექტემბერსა და ოქტომბერში კი ორივე გამოცემას ქვითარზე მითითებულ მისამართზე მოგართმევენ.

სხვათა შორის, მარტო ამით არ ამოიწურება ამ გამომცემლობის ნოვატორული საქმიანობა. შარშან "გია ქარჩხაძის გამომცემლობამ" სამაჩაბლოში, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველი და ოსი ბავშვებისთვის ექვსი ზღაპარი ("კონკია", "სამი გოჭი", "მართა და სამი დათვი", "წითელქუდა", "რუმპელსტილტსკინის ამბავი" და "მძინარე მზეთუნახავი") გამოსცა; პროექტის თანაორგანიზატორი იყო საქართველოს განათლების სამინისტრო, რომელიც ზღაპრებს ამჟამადაც არიგებს სამაჩაბლოს სოფლებში. იმედია, ახალი გამომცემლობა (რომელსაც აპრილში ერთი წელი შეუსრულდა), სამამულო ბაზარს კიდევ უფრო გააჯერებს მკითხველისთვის საინტერესო და სასარგებლო გამოცემებით.



ინფოთეკა

### პირესს ლონდონში დარჩენა უნდა

ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველმა რობერ პირესმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის დასასრულისთვის კლუბიდან წასვლას არ აპირებს. ფრანგი ფეხბურთელიც მათ შორისაა, რომელთა კლუბიდან სავარაუდო წასვლის შესახებ ხშირად საუბრობს ბრიტანული პრესა.

"მე გუნდში დარჩენა მინდა, მაგრამ ვიცი, რომ ეს მხოლოდ ჩემზე არაა დამოკიდებული. ვფიქრობ, მალე ამ საკითხს განვიხილავთ მთავარ მწვრთნელთან არსენ ვენგერთან და ვიცე-პრეზიდენტთან დევიდ დეინთან. იმედია, შეთანხმებას მივაღწევთ," - განაცხადა პირესმა.

### უეფამ მადლობა გადაუხადა "ლივერპულსა" და "იუვენტუსს"

უეფამ ოფიციალურად მადლობა გადაუხადა გუშინწინდელი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის მონაწილეებს ინგლისის "ლივერპულსა" და იტალიის "იუვენტუსს" იმ თამაშის გამო, რომელიც ამ გუნდებმა აჩვენეს. უეფამ ასევე მადლიერება გამოხატა თავად მატჩის ორგანიზატორთა მიმართ.

"აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა ორგანიზებული იყო არა უბრალოდ კარგად, არამედ იდეალურად. "ლივერპულის" წარმომადგენლებს ტაში უნდა დავუკრათ მატჩის ასეთი ორგანიზებისთვის. სტადიონზე ფანტასტიკური ატმოსფერო სუფევდა. "ლივერპულისა" და "იუვენტუსის" შეხვედრა იყო ევროპული ფეხბურთის ყველაზე წარმატებული საღამო. ეს ფაქტი აუცილებლად აღნიშვნის ღირსია", - განაცხადა უეფას აღმასრულებელმა დირექტორმა მარკუს შტუდერმა.

როგორც ცნობილია, ზემოხსენებული თამაში მიეძღვნა 1985 წელს ბელგიის "ეიზელის" სტადიონზე მომხდარ ტრაგედიასა, როცა ჩხუბში 39 გულშემატკივარი დაიღუპა.

### ზე რობერტოს "რომაში" თამაში უნდა

გერმანული "ბავარიას" ნახევარმცველმა ზე რობერტომ განაცხადა, რომ მომავალ სეზონზე იტალიურ "რომაში" ისურვებდა თამაშს. უფრო ადრე ფეხბურთელმა ასეთ გუნდად ესპანური "ატლეტიკო" დაასახელა.

როგორც ცნობილია, ზე რობერტოს ამჟამინდელ კონტრაქტს მიმდინარე სეზონის ბოლოს გასდის ვადა. "ბავარია" არ აპირებს ფეხბურთელს წინანდელი პირობები შესთავაზოს, ამიტომაც მას კლუბის შეცვლა მოუწევს. ამჟამად ზე რობერტოს მიმართ ინტერესს ამჟღავნებენ ზემოხსენებული კლუბები "რომა" და "ატლეტიკო".

"რომა" დიდებული კლუბია. თუ მას ჩემი შეძენა სურს, მე მზად ვარ", - განაცხადა ზე რობერტომ.

### სავიო "სარაგოსას" მოელაპარაკა

ბრიტანული პრესის ცნობით, მომავალ კვირას ბრაზილიელი სავიო კონტრაქტს გააფორმებს ესპანურ "სარაგოსასთან". ორშაბათს ფეხბურთელის აგენტები კლუბის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მართალია, შეთანხმებას ხელი არ მოეწერა, მაგრამ ზოგიერთ დეტალზე კი შეთანხმდნენ. იტყობინებიან, რომ სავიო ხელს მოაწერს ორწლიან კონტრაქტს და სეზონზე 1,2 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

### ჟუნინიომ "სელტიკი" დატოვა

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ჟუნინიომ მას შემდეგ დატოვა "სელტიკი", რაც გუნდში შვიდი თვე დაყო. ამ ხნის განმავლობაში 32 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი 22-ჯერ გავიდა მოედანზე, მაგრამ ისეთი თამაში არ აჩვენა, როგორსაც მისგან მოელოდნენ. მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა.

სავარაუდოდ, ის თავის პროფესიონალურ კარიერას მშობლიურ "პალმეირასში" გააგრძელებს.

"სელტიკის" მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ო`ნილიმ განაცხადა, რომ ჟუნინიოს წარუმატებლობა მისთვის ნამდვილად სიურპრიზი იყო: "რა თქმა უნდა, ძალიან იმედგაცრუებული ვარ. რამდენჯერმე ვუთხარი ფეხბურთელს, რომ მის გაჩერებას კლუბში ძალით არ ვაპირებ".

ფეხბურთელის აგენტი ბრაიან ჰესალიც ასევე ძალიან გაკვირვებულია შოტლანდიაში ჟუნინიოს მიერ განცდილი მარცხის გამო. "შვიდი თვის წინათ ვფიქრობდი, რომ ვიპოვე ის მწვრთნელი, რომელიც დაეხმარებოდა ჟუნინიოს გახსნაში, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენაში. არ ვიცი, რატომ არ მოხდა ეს", - აღიარა ჰესალმა.

ფეხბურთი

# ეს "მილანია"

**მილანი - ინტერი 2:0**
**ჩელსი - ბაიერნი 4:2**

მსგავსი მხოლოდ დიდ გუნდებს შეუძლიათ - "მილანმა" "ინტერს" სამჯერ დაურტყა კარში და ორი გოლი გაუტანა. ჯერ სტამმა გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ანდრეი შევჩენკომ მეორეც გაუტანა რობერტო მანჩინის გუნდს და განმეორებითი შეხვედრის წინ "როსონიერი" აშკარა ფავორიტად აქცია.

საოცარია, მაგრამ ანდრეი შევჩენკოს თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. უკრაინელს ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია. ამ ტრავმის გამო მან თვეზე მეტი დრო გააცდინა, მაგრამ გამოვიდა ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში და გოლი გაიტანა. სწორედ ეს არის "მილანი". მას გადამწყვეტი გოლების გატანა შეუძლია.

"სან სიროზე" თამაში უაღრესად უცნაურად წარიმართა. პირველ ტაიმში ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გოლამდე თვალსასეირო პრაქტიკულად არაფერი მომხდარა. მხოლოდ "ინტერმა" დაარტყა კარში ორჯერ და ისიც უხეიროდ. სტამის გოლის შემდეგ კი თამაში იმდენად გაცხარდა, რომ მატჩის არბიტრმა ფრანგმა ალენ სარსმა ხუთი ყვითელი ბარათი ალმართა. საკმარისია ითქვას, რომ პირველ ტაიმში თამაშის წესი მხოლოდ 12-ჯერ დაირღვა. საერთო ჯამში კი 42 ჯარიმა დაფიქსირდა.

"მილანმა" ამ შეხვერდაში უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე სათადარიგო სკამზე დარჩა. თუმცა, თამაში მასაც მოუხდა. კალაძე მინდორზე 71-ე წუთზე ალესანდრო ნესტას ნაცვლად შევიდა და შეტევაში რამდენჯერმე ჩართვაც მოასწრო. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ აღნიშნა, რომ თამაში გოლის შემდეგ გაიხსნა და ის მოვლენების ასეთ განვითარებას ელოდა კიდეც. ანჩელოტის თქმით, ამ მატჩში ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ გუნდმა, რომელიც ნომინალურად მასპინძლად ითვლებოდა, გოლი არ გაუშვა.


ანდრეი შევჩენკო ერთთვიანი პაუზის შემდეგ მინდორზე გამოვიდა და გოლიც გაიტანა.

უაღრესად იღბლიანი გუნდია მიუნხენის "ბაიერნი". ასეთი იარლიყი გერმანიაში მას დიდი ხანია მიკრული აქვს, მაგრამ ეს ფაქტი ევროტურნირებზეც დადასტურდა. კერძოდ, მიუნხენელებს ლონდონში - 1:4 რომ წაეგოთ ნახევარფინალში გასვლის პრაქტიკულად არავითარი შანსი აღარ შერჩებოდათ, მაგრამ მესამე დამატებულ წუთზე მატჩის ჰოლანდიელმა არბიტრმა რენე ტემინკმა ბალაკის წაქცევისთვის პენალტი დანიშნა, რომელიც დაზარალებულმა ზუსტად გამოიყენა და ბავარიელებს იმედი შეუნარჩუნა.

მთლიანობაში კი ჟოზე მოურინიოს ფეხბურთელებმა აშკარად დაჯაბნეს გერმანიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი. ჯო კოულმა, ფრენკ ლამპარდმა ორჯერ და დიდიე დროგბამ ოთხი გოლი გაუტანეს ოლივერ კანს და გერმანული კლუბი უიმედო არა, მაგრამ უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს. ამ მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს ჟოზე მოურინიო. მოგეხსენებათ, ის დისკვალიფიკაციის სასჯელს იხდის და მიუნხენშიც ტრიბუნიდან მოუწევს თავის გუნდზე დაკვირვება. თუმცა ამას ლონდონელთათვის აბსოლუტურად არ შეუშლია ხელი. ამდენად გერმანელთა მატჩისწინა ვარაუდი, რომ "ჩელსისაც" იმავე დღეს დააყრიან, რაც "არსენალს", ჯერჯერობით არ მართლდება.

რაგბი

# პატარა ბორჯღალოსნები დასარჩენად იბრძოლებენ

პაატა თოთაძე

თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატიდან ერთი კვირის შემდეგ, ქართული რაგბის გულშემატკივართა ყურადღება ცხრამეტწლამდელებისკენაა მიპყრობილი, ჩვენი ჭაბუკები სამხრეთ აფრიკაში იმყოფებიან მსოფლიო ჩემპიონატზე.

ელიტაში აღზევების შემდეგ ქართველი ჭაბუკები მუდამ ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან და აქამდე ამოცანას თავს წარმატებითაც ართმევდნენ. ახლა ვითარება შედარებით გართულდა. საქმე ისაა, რომ გათამაშების ფორმატი შეიცვალა. ელიტაში მხოლოდ 12 გუნდი დარჩა, ბუნებრივია შედარებით ძლიერები და მათთან ბრძოლაც რაღა თქმა უნდა გაძნელებულია. შეჯიბრი ორ ეტაპადაა გაყოფილი - ჯერ ჯგუფური ეტაპი იმართება, მერე კი დგება საერთო ცხრილი და მეორე ეტაპზე ვინ მედლებისთვის იბრძვის და ვინ ადგილის შესანარჩუნებლად.

ამ უკანასკნელთა რიგებში იქნება საქართველოს ნაკრებიც. ჯგუფურ ეტაპზე ქართველებმა ორი მატჩი გამართეს და ორივეში დამარცხდნენ, თანაც ვერც ერთ შეხვედრაში ვერ მოახერხეს ქულის მოპოვება. პირველ მატჩში ჩვენი გუნდის მეტოქე ირლანდიის ნაკრები იყო. ნაკრების მწვრთნელის ლევან მაისაშვილის თქმით, მეტოქეზე ჩვენებს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ. მხოლოდ იმას ვარაუდობდნენ, რომ ტრადიციიდან გამომდინარე ძლიერი გუნდი იქნებოდა. შეხვედრა 16:0 წავაგეთ. დიდი ანგარიში არაა, ამიტომაც იმედი გვქონდა, რომ მეორე მატჩში ფრანგებთანაც ღირსეულად ვიბრძოლებდით. სამწუხაროდ ასე არ მოხდა - 48:0 წავაგეთ. პირველ ტაიმში ქართველებს ძალიან ცუდად უთამაშიათ. მეორეში მდგომარეობა ცოტა კი გამოსწორებულა, მაგრამ ანგარიშზე ეს არანაირად არ აისახა. ორი ტურის შემდეგ საქართველო ერთადერთი გუნდია მსოფლიო ჩემპიონატზე ქულა რომ არ მოუპოვებია. პირველი ეტაპის დასკვნით მატჩს ქართველები 9 აპრილს გამართავენ არგენტინის ნაკრებთან, რომელიც ჯერჯერობით ჩვენსავით აგებს თამაშებს. პირველ მატჩში არგენტინელები ახალ ზელანდიასთან, მეორეში კი ავსტრალიასთან დამარცხდნენ.


ფრანგებმა 48:0 მოგვიგეს

ორი მარცხის შემდეგ ქართველებს ისეთი მდგომარეობა შეექმნათ, რომ ცხრილში ბოლო ოთხეულში მოხვდებიან ანუ ელიტაში დასარჩენად მოუწევთ ბრძოლა მეორე ეტაპზე.

ლევან მაისაშვილის თქმით, იმ ორი კვირის მანძილზე, რომელიც გუნდმა დაჰყო სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატამდე, ნაკრებმა საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გაიარა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონატისთვის კარგად მოემზადა და შესაბამისად ელიტაში ადგილის შენარჩუნებაც აუხდენელი ოცნება არაა. შეკრებაზე ქართველებმა ორი საკონტროლო მატჩი გამართეს. ბუნებრივია აქ მნიშვნელობა არ ჰქონდა ანგარიშს, მთავარი ბიჭების შეთამაშება და სათამაშო კომბინაციების დამუშავება იყო. მაისაშვილი, როგორც ტურნირის დაწყებამდე ამბობდა, ამ მხრივ კმაყოფილი იყო, მაგრამ თამაშებმა აჩვენა, რომ საქმე არც თუ კარგად ყოფილა. ეს მწვრთნელმაც აღიარა - ბევრი ხარვეზი გვაქვს, ეს განსაკუთრებით ფრანგებთან მატჩში გამოჩნდაო. ვერც შარლ-ედუარდ იაშვილს დაულაგებია თამაში ათი ნომრის პოზიციაზე, თუმცა როგორც მწვრთნელები ამბობენ ამ ბიჭს დიდი პოტენციალი გააჩნია და ათამაშდებაო.

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრიტიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

[illegible]

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:
სახელი, გვარი
ასაკი
ტელეფონები
[illegible]
[illegible]

1. კვირაში რამდენ რეისს განახორციელებს ბრიტიშ ეარვეისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. კვირაში ერთ რეისს
2. კვირაში სამ რეისს
3. [illegible]

2. კვირის რომელ დღეებში განახორციელებს ბრიტიშ ეარვეისი რეისებს თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

3. დღის რომელ მონაკვეთში [illegible]
1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

4. ბრიტანეთის რომელ აეროპორტში [illegible]
1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

5. რომელი ტიპის თვითმფრინავებით [illegible]
1. აერობუსი 320
2. ბოინგ 747
3. კონკორდი

6. კვირაში რამდენი დღე [illegible]
1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

7. სად მდებარეობს ბრიტიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?
1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

8. [illegible]
1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]

9. [illegible]
1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible] (World Traveller) [illegible] (Club World)

10. [illegible]
1. BMED [illegible]
2. GB [illegible]
3. [illegible]

ინფოთეკა

### ნავარო დასაჯეს

ესპანურმა ფეხბურთის ასოციაციამ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა "სევილიას" მცველს ხავი ნავაროს. ამის მიზეზი გახდა ფეხბურთელის საქციელი ესპანეთის ჩემპიონატში "მალიორკასთან" მატჩში, რომელიც გაიმართა ორი კვირის წინათ. შეხვედრის დროს ფეხბურთელმა მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელს ხუან არანგოს სახეში ჩაარტყა. დაშავებულს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა - მას 47 ნაკერი დაადეს. გარდა ამისა, სახის ძვლის გატეხილობაც დაუდგინეს.

### "ლივერპული" ბარახას უმიზნებს

ინგლისური კლუბი "ლივერპული" განიხილავს ესპანური "ვალენსიას" ნახევარმცველის რუბენ ბარახას შეძენის ვარიანტს. როგორც ცნობილია, ინგლისური გუნდის ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ესპანური კლუბის ყოფილი თავკაცია. სწორედ ბენიტესს გაუჩნდა სურვილი თავისი ძველი ფეხბურთელი იხილოს საკუთარ გუნდში. ინგლისური პრესის განცხადებით, "ლივერპულმა" უკვე მიმართა საქმიანი წინადადებით ბარახას და 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 7 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ლიბერტადორესის თასი. "სანტოსი" (ბრაზილია) - ელ-დე-უ (ეკვადორი)
14:00 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ჩელსი" - "ბავარია". პირველი მატჩი
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 რუსეთის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. "ამკარი" - "კრილია სოვეტოვი". პირველი მატჩი
17:45 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "მილანი" - "ინტერი". პირველი მატჩი
19:40 თავისუფალი დარტყმა
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:10 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:40 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალური მატჩების ანონსი
22:00 "ფეხბურთი ჭრილში"
22:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
23:00 ლიბერტადორესის თასი. "სანტოსი" (ბრაზილია) - ელ-დე-უ (ეკვადორი)
00:45 თავისუფალი დარტყმა
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "ვატერპოლე"
11:15 "მწვერვალის ინტერესი" - "ევერესტის ჩრდილოეთ კდელი"
12:15 "სპორტისიმო"
13:40 ჩვენი ჰოკეი პლუსზე
14:00 ბადმინტონი. ტაილანდის დიდი პრიზი
16:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ბაჰამის კუნძულებზე. გადაცემა მეოთხე
16:45 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
17:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
18:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "WASHINGTON WIZARDS". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:00 "მოტოვებული კვირა"
22:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
23:15 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპები შვედეთში
23:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
00:15 ახალი ამბები
00:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
10:30 მულტისპორტი. იტალია-2006
10:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასი აშშ-ში
11:15 ფეხბურთი - გ-ო-ო-ოლ!!!
11:30 ფეხბურთი - უეფას თასი
13:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
13:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. გერმანია - ფინეთი
14:45 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. ნორვეგია - აშშ
16:30 ფეხბურთი - უეფას თასი
18:00 ველოსპორტი. ბასკთა ქვეყნების ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია
20:00 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. გერმანია - ნორვეგია. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:30 ფეხბურთი - უეფას თასი
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი

# ბრუკ შილდსი ბრიტანულ სცენაზე



ჰოლივუდის ვარსკვლავი, რომელიც ძველებური სიკაშკაშით ველარ ბრწყინავს, მალე კარიერის განახლებაზე ბრიტანეთში იზრუნებს. მიუზიკლ "ჩიკაგოში", რომელიც ლონდონის სცენაზე 26 აპრილიდან დაიდგმება, შილდსი როქსი ჰარტის როლს ითამაშებს.

თუმცა, ეს არ იქნება შიდსის პირველი ნაბიჯები სცენაზე. სანამ ლონდონში ჩავიდოდა, მსახიობი ნიუ იორკში თამაშობდა, ხან "კაბარეში" და ხან Grease-ში. შარშან კი ბროდვეის მიუზიკლში "შესანიშნავი ქალაქი" მან საკმაოდ წარმატებული როლი შეასრულა.

ასე რომ, ახლა ლონდონელების დრო დადგა. როგორც ჩანს, ბრუკ შილდსი თეატრს ძალიან სერიოზულად უდგება და ვინ იცის, თეატრალური კარიერის გაკეთებაზეც ფიქრობდეს.

# კონცერტი მოგონებებისთვის



8 მაისის საღამოს ლონდონის ტრაფალგარ სკვერი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს უმასპინძლებს. კონცერტი ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების 60 წლისთავს მიეძღვნება და ორგანიზატორები შეეცდებიან, იგივე განწყობა გადმოიტანონ, რაც 1945 წლის 8 მაისს სუფევდა იმავე სკვერში: მაშინ ათასობით ლონდონელი ქუჩაში გამოვიდა და ყურთასმენაწამღები ოვაციებით ნაცისტური გერმანიის დამარცხებას ზეიმობდა.

ლონდონის მერი კენ ლივინგსტონი აცხადებს: "ტრაფალგარ სკვერზე სრულიად დაუგეგმავად, სპონტანურად გამართული საზეიმო აქციის შემდეგ 60 წელი გავიდა. გვინდა, ყველაფერი თავიდან გავიმეოროთ, რათა გავიხსენოთ თაობა, რომელმაც უამრავი რამ გაიღო იმისთვის, რომ ჩვენ თავისუფალ გარემოში გვეცხოვრა".

კონცერტზე 15 ათას ადამიანზე მეტს ელიან. მომღერლებს შორის კი არიან: ქეთი მელუა, უილ იანგი და უელსელი კლასიკური მუსიკის შემსრულებელი ქეთრინ ჯენკინსი. შოუს ასე ჰქვია - Party to Remember ("კონცერტი გასახსენებლად").




# საზედამხედველო ენერგოობიექტების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

## ელ. დანადგარებისა და მოწყობილობების დამცავი დამიწების კონტურის წინაღობის ლაბორატორიული გაზომვების პერიოდულობის შესახებ

ელ. დანადგარებისა და მოწყობილობების დამცავი დამიწების კონტურის მოწყობა და მათზე მიერთება აუცილებელია, რათა საფრთხე არ შეექმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და თავიდან ავიცილოთ ელექტროტრავმატიზმით გამოწვეული უბედური შემთხვევები. ამიტომ, აუცილებელია ჩატარდეს აღნიშნული დამცავი დამიწების კონტურის წინაღობის ლაბორატორიული გაზომვები, რომელსაც ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად გააჩნია ჩატარების დადგენილი ვადები და პერიოდულობა. უფრო კონკრეტულად, "ელ.სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების" (გატარებულია იუსტიციის სამინისტროში, ბრძანება N74, 23.12.1998 წ.) მოთხოვნების თანახმად ($5.10., მუხლი 5.10.06. 5.10.07) დამიწების მოწყობილობის წინაღობის გაზომვა უნდა ტარდებოდეს: 35 კვ-ზე უფრო დაბალი ძაბვის გამანაწილებელი ქსელის ქვესადგურებზე 12 წელიწადში ერთხელ, ხოლო დამამიწებლებსა და დასამიწებელ ელემენტებს შორის წრედების არსებობისა და მდგომარეობის, ბუნებრივი დამამიწებლების დამიწების მოწყობილობასთან შეერთების შემოწმება - 6 წელიწადში ერთხელ.

ასევე მომხმარებლებისათვის "ელ.დანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის და უსაფრთხოების წესების" (დანართი N1 24-ე პუნქტის) მოთხოვნის თანახმად, დასამიწებელ ელემენტსა და დამიწების მოწყობილობას შორის შემაერთებელი წრედის არსებობის შემოწმება ტარდება, ელ.მოწყობილობების რემონტებისა და მათი გადაადგილების დროს.

ამასთან დაკავშირებით, ვაუწყებთ ობიექტების ხელმძღვანელებს, რომ, როგორც ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, არის შემთხვევები, როცა გამზომი ლაბორატორიების თანამშრომლები, ობიექტების ხელმძღვანელობას სთხოვენ წელიწადში ერთხელ ჩაატარონ მათ ბალანსზე არსებული ელ.დანადგარებისა და მოწყობილობების დამცავი დამიწების კონტურის წინაღობის ლაბორატორიული გაზომვები, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ნორმატიული აქტი, არც ერთ ძაბვაზე, ელ.დანადგარებისა დამცავი დამიწების წინაღობის წელიწადში ერთხელ გაზომვის აუცილებლობას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (ამწეები, სამრეცხაოები, ლიფტები და სხვა) არ ითვალისწინებს.

ვახსენებთ რა, აღნიშნულის შესახებ საზედამხედველო ობიექტების ხელმძღვანელებს, ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი, ერთდროულად აფრთხილებს და ავალებს თავის თანამშრომლებს, საზედამხედველო ობიექტების შემოწმების დროს, გაითვალისწინონ მოქმედი სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ობიექტებზე, ელ.დანადგარების დამცავი დამიწების კონტურის ლაბორატორიულ გაზომვებს ატარებს, "საქსტანდარტის" შესაბამის სამსახურში ამ სამუშაოზე აკრედიტებული ორგანიზაციები, რაც გარკვეულ დამატებით თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ასეთი ფირმების მიმართ ობიექტების ხელმძღვანელებმა, მეტი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინონ. ლაბორატორიული გაზომვების ჩატარების აუცილებლობაზე პერიოდულობის არასწორი მოთხოვნა საზედამხედველო ობიექტების მხრიდან, ზედმეტ ხარჯებს მოითხოვს, რაც საბიუჯეტო ობიექტებთან მიმართებაში, დიდ ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.

*ენერგეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი.*

# კიდმანი, როგორც არბუსი



დაიან არბუსი, ჟურნალ Life-ის ვეტერანი ფოტოგრაფი კულტურულ წრეებში ძალიან ცნობილი სახელია. და მალე მის სახეს ნიკოლ კიდმანთან დააკავშირებენ, რადგან სწორედ კიდმანი შეასრულებს არბუსის როლს ფილმში "ქურქი", რომლის გადაღებებიც ბრუკლინის ახალ კინოსტუდიაში "შტაინერ სტუდიოზში" დაიწყება.

ცხადია, ეს ამბავი სტუდიის ხელმძღვანელს ძალიან ახარებს. 15-აკრიანი პავილიონი მალე აღმოსავლეთ ლოს ანჯელესის ყველაზე დიდი თანამედროვე კინოსაწარმოო ადგილი გახდება.

რაც შეეხება, არბუსსა და "ქურქს", გადაღებებს მაისიდან რეჟისორი სტივენ შაინბერგი დაიწყებს და სავარაუდოდ ივლისისთვის დაასრულებს კიდეც. კიდმანს კი პარტნიორობას რობერ დაუნი უმცროსი გაუწევს. სცენარი პატრისია ბოსუორთის წიგნის "დაიან არბუსი: ბიოგრაფია" მიხედვით დაიწერა. ფილმი საკმაოდ დრამატული უნდა გამოვიდეს. ფოტოგრაფი ხომ 50-60 წლების განმავლობაში საუკუნის ყველაზე საინტერესო ადამიანებს იღებდა, თვითონ კი 1971 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.






მეუღლე მანანა, შვილები: მერი, ალეკო, დები დოდო, ნინო წულუკიძეები, რძალი ნინო ტურძელაძე, ცოლისდა ბაია ყიფიანი, სიძეები: ირაკლი წერეთელი, ჰამლეტი ლაგვილავა, ქვისლი ჯიმი ყიფიანი, სიდედრი ნუცა მგელაძე, დისშვილები: მაია და გია ლაგვილავები ბიძაშვილები გუგული, ნენე, კაკო ლეჟავეები, დეიდა თინა მაჭავარიანი, დეიდაშვილი მანანა გამცემლიძე ოჯახებით იუწყებიან

**თენგიზ ალექსანდრეს ძე წულუკიძის**

გარდაცვალებას.

**პანაშვიდი: 8 და 9 აპრილს**
**დაკრძალვა 10 აპრილს 14 საათზე**
**ქ. თბილისი ლვოვის ქ. N52.**

## TV5-ის პროგრამა

**6 აპრილი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** გადაცემა: წითელი ფარდა. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ქალთა ტკივილი. ტელესერიალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** აპოლონოს გამოღვიძება. დოკ. ფილმი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **03.00** მოგზაურობა სიმშილის წინააღმდეგ. დოკ. ფილმი. **04.20** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

**7 აპრილი**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გდაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** მაშველები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ქალთა ტკივილი. ტელესერიალი. **22.05** აკუსტიკა. **24.20** ჰიტლერი. Gერმანული ფილმი. მხ ფილმი. რეჟისორი ჰანს იურგენ სიბერბერგი. **04.20** ჰიტლერი. ჯერმანული ფილმი. მხ ფილმი. რეჟისორი ჰანს იურგენ სიბერბერგი.






# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.